


140
1952/3

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ



Վ ր Ե Ն Գ Կ Ը

4
ՅԱՅԱՑՈՒ
1952

ლენინი და გაზაფხული

მაისი მოდის,
ათასფერად ჰყვავის მთა-ბარი,
გაზაფხულს ვაშა!
ქვეყნად მზე და სითბო მკვიდრდება.
ის გაზაფხულზე დაიბადა,
ის ჩვენთან არი,—
დიდება ლენინს,
უკვდავ ლენინს მარად დიდება!
რომ სულ შესრულდეს
მისი ფიქრი და განზრახული,
მის ნათელ გზაზე
გვიძღვის მისი თანამზრახველი.
რადგან ლენინმა მოუტანა
ხალხს გაზაფხული,
განუყრელია გაზაფხულთან
მისი სახელი!

გრიგოლ აბაშიძე





ჭ ი ო ნ ე რ ი

საპარტიველოს აღკვ ცენტრალური კომიტეტის
შოველთვიური საბავშვო შუკნალი

№ 4

აპრილი 1952

წილიწალი XXVI



ლენინი გიმნაზიელი



ტყუპნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორიგ იგი
ერთგვარად ჰშვენის:

ვიტყვიტ— ლენინი, —
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვიტ— პარტია
და ვგულისხმობტ
გლადიმერ ლენინს.

პ. მანიაკოვსკი



ლ ე ნ ი ნ ის დ ა რ ბ ა ზ შ ი



რახანია ამ დღეს ნატრობდა მესამე კლასელი მზია, ხან სწამაღლა, ხან ჩუმად, გულში იმეორებდა, გულმოდგინედ იზებობდა პიონერული ფიცის სიტყვებს; ოცნებობდა იმ წუთებზე, როდესაც ალისფერ ყელსახვევს შემოიხვევდა და მკერდზე პიონერულ სამკერდე ნიშანს გაიყეთებდა.

ამასწინათ ხელმძღვანელმა ბავშვებს გამოუცხადა, რომ ფიცის დადება კლასში კი არა, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დარბაზში მოხდებოდა, დიდი ლენინის გარდაცვალების წლისთავზე.

ბავშვებმა მასწინვე იგრძნეს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ახმაურდნენ, აფუსფუსდნენ და სამზადის შეუდგნენ.

რადაც იდუმალმა ყრუსტელმა დაურბინა ძარღვებში ყველას, როცა დიდი შენობის მარმარილოს კიბის საფეხურები აირბინეს და მოკრძალებით შეჩერდნენ დარბაზის კართან.

ისეთი გრძნობა, ისეთი მოლოდინი დაეფლვა ყველაზე წინ გაჩერებულ მზიას, თითქოს, აი, საცა თვითონ ლენინი გამოჩნდებოდა, დარბაზის კარისკენ ჩქარი ანბიჯით გამოეშურებოდა, შემკრთაო, თავდახრილ გოგონას ღიმილით მიუახლოვდებოდა და თავზე ხელს გადაუსვამდა...

— შედი, მზია...

მოესმა ხელმძღვანელის სმა. მხარზე ნაცნობი, ალერსიანი ხელის შეჩება იგრძნო, გამხსნევდა, დარბაზში შეაბიჯა.

შავ არშია შემოვლებული წითელი ხავერდით იყო ყველაფერი ამ დარბაზში მორთული. სიჩუმე, დიდებული სიმყუდროვე მეფობდა ირგვლივ. სამგლოვიაროდ დახრილი დროშების ქვეშ, შემალლებულ ადგილზე, წითელი ხავერდის ფონზე გამოჩნდა ლენინის სახე.

დიდ ადამიანს თითქოს მარადი ძილით ჩასძინებია, ღიმილი დასთანაშებს მის ბაგეებს, ღიღ შეტბლს... მარჯვენა ხელი მოუკუმშავს, მუშტად შეუტკრავს, ხოლო მარცხენა ნახევრად გამლილი უდევს მკერდს ქვემოთ.

მოპირდაპირე კედლიდან სტალინის მშვიდი, გამამხნეველი სახე აღმოჩნდება დარბაზს.

ამ ორი დიდი ადამიანის წინაშე უნდა დასდოს დღეს მზიამ თავის ამხანაგებთან ერთად

პიონერული ფიცი, უნდა შეჰვიცოს სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული.

ბავშვებმა კედელზე ჩამოკიდებული სურათების დათვალიერება დაიწყეს.

აგერ ის მალსვეტებიანი სახლი გორაკში, სადაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა და გარდაიცვალა დიდი ლენინი. ეზო, სახლის სახურავი, სახლის წინ მდგარი უზარმაზარი ხის ტოტები თოვლს დაუფარავს. სახლის წინ ხალხი ირევა, მათს მოწყენილ სახეებზე ორ სიტყვას ამოიკითხავს ადამიანი: ლენინი გარდაიცვალა...

აი, უზარმაზარი სურათიც „გზა გორაკდან“.

ამ სურათზე ასახულია ლენინის გადმოსვენება გორაკიდან. წინა პლანზე მოსჩანს, რძმა თოვლში მიმავალი მარხილი. ცხენი სადავით მიჰყავს თავჩაქინდრულ, მწუხარე ბერიკაცს. მარხილზე რუსი ქალები სხედან, მათაც თავი ჩაულუნავთ, მათი სახეც უღრმეს მწუხარებას გამოხატავს; ერთ მათგანს მკერდზე მიუტკრავს თბილად შეფუთვნილი ძუძუთა ბავშვი... წითელარმიელს, რომლის ძაბრისებური ქუდიც თოვლს დაუფარავს, ხელში შავ არშია შემოვლებული დროშა უჭირავს... ყველაზე წინ, თითქმის ცხენის სადავებთან პატარა, ქეჩისჩქმებიანი ბიჭუნა მიბიჯებს თოვლში.

ნეტავ რას ჩურჩულებს ბიჭუნა გაყინული ბაგეებით?

იცის მზიამ, იცის რასაც ჩურჩულებს იგი.

— ძვირფასო ლენინ, ძვირფასო ლენინ! — ჩურჩულებს ბიჭუნა, რძმა თოვლში, მკაცრ ყინვაში მიაბრჯებს და გაჰყურებს გრძლად გაჭიმულ სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც დახრილი დროშებით, წითელ კუბოში მწოლიარე ლენინს მისავენებს მოსკოვისაკენ.

დიდხანს, დიდხანს, გულმოდგინედ. სულგანაბლანი შესცქეროდნენ ბავშვები ამ დაუღიწყარ სანახაობას, შენატროდნენ იმ ადამიანებს, იმ პატარა ბიჭუნას, რომელმაც ერთხელ მაინც იხილა დიდებული ლენინის სახე.

მაგრამ აი, თითქოს ცა გაიხსნა. თითქოს ცისარტყელამ გამოაშუქა. ბავშვებმა მკორე კედელზე თვალი მოჰკრეს ბელადის მშვიდ, გამამხნეველ სახეს..

ლენინის გარდაცვალებიდან რამდენიმე

დღეა გასული... სტალინი საბჭოების მეორე ყრილობის ტრიბუნაზე დგას. ოგი ბოლშევიკური პარტიის სახელით ფიცს სდებს ამხანაგი ლენინის წინაშე. მისი არწივისებური თვალები რწმენითა და მომავალი გამარჯვების მტკიცე იმედითაა გაშუქებული.

იქვე, უზარმაზარ სტენდზე სტალინის დიადი ფიცის სიტყვებია ამოკვეთილი. ბავშვები გაფაჩვიებთ, უხმოდ, ანთებული თვალებით კითხულობდნენ, იმეორებდნენ წაკითხულს.

„შიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა როგორც თვალის ჩინი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!“
დაფასთან გაჩერებული მზია ხელმძღვანელის ხმამ გამოაფხიზლა:

— აბა, ახლა კი ხაზზე დადექით ფიცის მისაცემად!

გოგონები ჩამწყვიდნენ. პირველად ფიცის სიტყვები მზიას უნდა ეთქვა. საოცრად აუჩქაროდა გული. თვალები გაუბრწყინდა. გაისმა მისი წკრიალა ხმა:

„მე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნორჩი პიონერი ჩემი ამხანაგების წინაშე დაპირებას ვიძლევი“...

მზია გრძნობდა, რომ მასთან ერთად ამ სიტყვებს მწყრივში გაჩერებული მისი ამხანაგებიც უხმოდ იმეორებდნენ, მასთან ერთად დღეაფინდნენ, გრძნობდა მათს მღელვარე გულისცემას და განაგრძობდა:

„დაპირებას ვიძლევი, რომ მედგრად ვიბრძოლებ ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნისტების გამარჯვებისათვის“...

ოგი აღზნებული თვალებით გასცქეროდა თეთრ სარეცელზე მისვენებულ ლენინას სა-

ყვარელ სახეს, მხნელებოდა, უფრო მეტ ძალას გრძნობდა, ოცნების ფრთებით საყვარელი სამშობლოს ვრცელ ველებზე დაჰქროდა, ხმას უმაღლებდა:

„გპირდებით, ვიცხოვრო და ვისწავლო, ისე რომ გავხდე ჩემი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქე!“

მზიას ისე ეჩვენებოდა, თითქოს მეტი შუქი დასდგომოდა ლენინის დიდ შუბლს, თითქოს კედლიდან გადმოშობილი ბელადიც სიყვარულით უღიმოდა, ამხნევებდა: ყოჩაღ მზია, დღეოდან შენ პიონერი ხარო...

ხელმძღვანელმა სამკერდე ნიშნის ქინძისთავით შეკრული კონვერტი გახსნა, წითელი ყელსახვევი ამოიღო და ყელზე გაუკეთა. უცებ მზიას მარხილის გვერდით მიმავალი ბიჭუნა გაახსენდა, წამით იმ სურათსკენ გაიხედა.

აღბათ იმ ბიჭუნას გულიც ასე მქოვრად სცემდა ამ საში ათიოლი წლის წინათ, აღბათ ასე ჩურჩულებდნენ მისი გაყინული ტუჩები:

- ვფიცავთ, ძვირფასო ლენინ!
- ახლა უკვე სხვა გოგონები სდებდნენ ფიცს, ახლა მისი ამხანაგების წკრიალა ხმა გაისმოდა. მზია კი აღზნებული თვალებით გასცქეროდა სივრცეს და გულში იმეორებდა:
- ვფიცავთ, ძვირფასო ლენინ!
- ვფიცავთ, ძვირფასო სტალინი!





მუხილო ბისათვის

მხატვარი ფ. რეუტენიკოვი

ს ი მ დ ე რ ა უ ც ხ ი ე ლ ბ ი ჯ ზ ე

ვიცი, სტოვებ ბინას
ავდარსა თუ დარში,
ასე პაწაწინა
გულმართალი ბავშვი.
გაზაფხულის ქარი
ღერწამივით გარწევს,
დახვალ ქარზე ჩქარი
და კედლებზე დასწერ,

რა ამაყად დასწერ
ბავშვი ერთი ციდა:
რომ მსოფლიოს ცაზე
მშვიდობის მზე გინდა.
მშვიდობაზე უმღერ
თვალანთებულ ღედებს,
გადაიხსნი ჯუბეს,
ამოაფრენ მტრედებს.

ეგ წკრილა ყელი
სალამურის ღერი
მშვიდობაზე მღერის,
დიდ სტალინზე მღერის.
ყველა სათამაშოს
ეს სიმღერა გიჯობს,
საყვარელო ბავშვო.
გაბედულო ბიჭო!

ნაზი კილასონია



ივანე უჩაძე

ნახატი უჩაძის

ქიმ ირ სენი

ოც თვეზე მეტია, რაც მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხი გმირულად იბრძვის პირსისხლიან ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. კორეის სახალხო არმია, რომელიც გამოიწვითა უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში, მამაცურად იცავს სამშობლოს დამოუკიდებლობას. ამ დიად გამანათავისუფლებელ ბრძოლაში კორეელ ხალხს წინ უძღვის ტროვნილი გმირი ქიმ ირ სენი.

კორეელი ხალხის სახელოვანი შვილი — ქიმ ირ სენი დაიბადა 1912 წლის 15 აპრილს, ფხენიანის პროვინციის სოფელ მან გინ დუ-ში. ქიმ ირ სენის მამა ცნობილი რევოლუციონერი იყო და ორი ათეული წლის მანძილზე იარაღით იბრძოდა იაპონელ დამპყრობთაგან კორეის განთავისუფლებისათვის. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო 1919 წლის მარტის შეიარაღებული აჯანყება, რომლითაც მონობაში მყოფი კორეელი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას გამოეხმაურა.

თოთხმეტი წლისა იყო ქიმ ირ სენი, როცა იაპონელებისაგან დევნითა და შევიწროებით მოღლილი მამამისი გარდაიცვალა. ობლად დარჩენილი ქიმ ირ სენი ჭაბუკობისას ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 18 წლის ასაკში ის უკვე კომუნისტური პარტიის რიგებში შედის. პარტიის დავალებით იგი კორეის ქალაქებსა და სოფლებში ეწევა ანტიიაპონურ პროპაგანდას, მშრომელებს მოუწოდებს იაპონელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. იაპონელები სდევნიან ქიმ ირ სენს, ცდილობენ მის ხელში ჩაეღებინათ, ამიტომ იგი იძულებულია მიატოვოს სამშობლო და საცხოვრებლად მანჯურიაში გადასახლდეს.

1931 წელს იაპონელმა სამურაებმა მანჯურის ოკუპაცია დაიწყეს. ჩინელ ხალხთან ერთად დამპყრობთა წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ კორეელი პატრიოტები, მათ რიგებში იმყოფებოდა ახალგაზრდა ქიმ ირ სენი. 1934 წელს კორეელ პატრიოტებისაგან



ნაპირზე კორეელი ხალხის ბელადი ქიმ ირ სენი იღვა.

ნახატი ა. ბანძელაძისა

ქიმ ირ სენი ადგენს პარტიზანულ რაზმს, რომელიც შემდეგ გადაიქცა კორეელ პარტიზანთა განთქმულ დივიზიად. მალე პარტიზანულ დივიზიას სამოქმედო არე მანჯურიიდან კორეის ჩრდილოეთ რაიონებში გადააქვს. 11 წლის მანძილზე იბრძოდნენ კორეელი პარტიზანები მამაც ქიმ ირ სენის მეთაურობით. არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს მათ კორეელ ხალხის ისტორიაში. ქიმ ირ სენის პარტიზანები მუსრს ავლებდნენ იაპონელ დამპყრობლებს, აფეთქებდნენ ხიდებსა და საწყობებს, რაზმავდნენ ხალხს იაპონელთა გასანადგურებლად.

როცა 1945 წლის ზაფხულში საბჭოთა არმია იაპონელ იმპერიალისტთა არმიას ანადგურებდა, მტრის ზურგში მამაცურად მოქმედებდნენ კორეელი პარტიზანები სახელგანთქმულ ქიმ ირ სენის მეთაურობით. მამაცი კორეელი პარტიზანები გზას უღობავდნენ ბრძოლის ველიდან გაქცეულ მტერს და ამით ხელს უწყობდნენ ჩვენი ჯარების შეტევიით ოპერაციების წარმატების საქმეს.

საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულმა კორეელმა ხალხმა, რომლის ისტორია იწყება ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პირველად შექმნა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო და მინისტრთა საბჭოს კაბინეტის თავმჯდომარის პოს-

ტზე ერთხმად აირჩია თავისი სახელოვანი გმირი ქიმ ირ სენი.

მე ბედნიერება მხვდა წილად სამჯერ მენახა კორეელი ხალხის ბელადი ქიმ ირ სენი. რის შესახებაც მოკლედ მოგითხრობთ.

... ერთხელ გათენებისას, — ეს იყო 1946 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში, — უცბად ატეხილმა ნმაურმა გამომადვიცა. უმაღლესი ტანთ ჩავიცივი და გარეთ გამოვედი. ფენიანის ვიწრო ქუჩები ხალხს ვერ იტევდა. მოხუცი თუ ახალგაზრდა, ილიდი თუ პატარა თედონგანი-საკენ გარბოდა. ეს წყალუხვი მდინარე, ზამთარ-ზაფხულ რომ მშვიდად მოედინება, ქალაქს შუაზე ჰყოფს. მხოლოდ წვიმების დროს, უფრო მეტად გაზაფხულობით იცის მან აღიდება. ამ დამით კი გაუთავებლად წვიმდა.

ორიოდე წუთში თედონგანის ნაპირზე გავჩნდი. აზვირთებულ ტალღებს ნერგები და კუნძულები მოჰქონდა. მარცხენა ნაპირზე გადმოვარდნილ მდინარეს სანაპირო ქუჩა დაეფარა. ფანჯრებში შევარდნილი წყალი ღია კარ-ფანჯრებიდან გრიალით გამოდიოდა. სახლებში ჩარჩენილ ქალებსა და ბავშვებს სახურავზე მოესწროთ ასვლა. ისინი წვილ-კვილითა და ხელების ქნევით ვეღვას თხოულობდნენ.

ნაპირზე ერთი ალიაქოთი იღვა. თმაგაწეწილი ქალები ტიროდნენ. დაბნეული მამაკაცები მიბრბი-მობრბოდნენ, არ იცოდნენ თუ რა ელონათ. ისე სწრაფად, ისე ძლიერად

მოქმედდა წყალი, რომ მასში საუკეთესო მოცუტარევისა და გაუძნელებდებოდა გასვლა. ჩემგან ოციოდ მეტრის მანძილზე „ვილისი“ შეჩერდა. ვიღაცამ კორეულად რამდენიმე სიტყვა დაიძახა, ეს სიტყვები ვაიმეორა მეორემ, შესამდე და მალე მთელ ნაპირს მოედო. არ ვიცი, თუ რას ამბობდნენ ისინი, ვერც იმას ვივხვდი, თუ რატომ მიიწვედნენ ავტომანქანისაკენ ასეთი იმედითა და სასოებით განსაცდელში მყოფი ადამიანები, მაგრამ მე გარკვევით მესმოდა, რომ თითოეული მათგანი ალტაცებითა და სიყვარულით წარმოსთქვამდა სიტყვას ქიმ ირ სენს.

დიახ, ნაპირზე კორეელი ხალხის ბელადი ქიმ ირ სენი იღვა. ის იყო მაღალი, მხარბეჭიანი, წარმოსადები ვაჟაკი. ქარს მისთვის უკან გადაწეული თმა აეწეწა, რუხი ფიჯაკი და ჩამწეული შარვალი ტანზე გაკეროდა. მშვიდად გასტყვეროდა იგი ადიდებულ მდინარეს, მაგრამ საქმარისი იყო ანთებულ თვალებში ჩაგხედდათ, დაგენახათ მისი ლამაზი სახის ნაკვეთები და თქვენთვის ნათელი გახდებოდა, რომ ამ მძიმე წუთებში ეროვნული გმირის დიდბუნებოვანი სული უფრო მეტად ღელავდა, ვიდრე მშფოთვარე თედონგანი, ასობით ბავშვის სიცოცხლეს სიკვდილით რომ ემუქრებოდა.

—ძმებო, საჭიროა ტელეფონის ბოძებზე თოკის გაბმა, — (როგორც შემდეგ მითხრეს) შესძახა მან მუქვარე, მაგრამ დამშვიდებული ხმით და პირველი გაიქცა შორიანლო გამორიყულ სათეგზაო გემისაკენ, რომ მისი ანძიდან თოკი შეესხა.

სასალონო გმირის მოწოდებით ადფრთოვანებულმა ადამიანებმა მდინარე გასტურეს, ტელეფონის ბოძზე თოკი გააბეს, შემდეგ თოკის გასწვრივ ჩამწკრივდნენ და კონვეიერის წესით წყალში ჩარჩენილი ქალები და

ბავშვები ნაპირზე გამოიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ, მე კვლავ ვნახე კორეელი ხალხის ბელადი თედონგანის ნაპირზე. ამჯერად მას თეთრი ეროვნული ხალათი ეცვა, მუხლებამდე წყალში იღვა და ბარით ხელომ ფენიანის მშრომლებთან ერთად ჯებირის საძირკველს თხრიდა. წერაქვებისა და ბარების რიტმულ ხმაურს, შრომისმოყვარე ადამიანთა მხიარული სიმღერა ერთვოდა. მღეროდა ქიმ ირ სენიც. ქალაქის ერთი თავიდან მეორე თავამდე,

მდინარის მთელ გაყოლებზე, თავისუფალი კორეელი ხალხი საყვარელი ბელადის ხელმძღვანელობით თედონგანის სახანაპრო ჯებირს აგებდა — ეს იყო კორეელი ხალხის პირველი სახალხო მშენებლობა.

ერთი თვის შემდეგ, პირველ მაისს, მე კვლავ ვნახე ქიმ ირ სენი, რომელიც ტრიბუნაზე იდგა თავის თანამებრძოლთა შორის; უკან გადაწეულ მის შავ თმას მზის სხივებზე პრიალი გაჰქონდა, სახზე ერთთავად ღიმილი დასამამებდა, გაბრწყინებულ დიდ და შავ თვალებიდან მოელვარე შუქი გამოერთოდა.

ათიათასობით კორეელი ადამიანი, რომელთაც რამდენიმე თვის წინ ქუჩაში ჯგუფად სიარული და მშობლიურ ენაზე ლაპარაკი კი არ შეეძლოთ, ქიმ ირ სენის ქუჩით განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა თავისუფლების მოედნისაკენ. დემონსტრანტებს მიჰქონდათ დროშების ტყით გარშემორტყმული სტალინისა და ქიმ ირ სენის პორტრეტები, ისმოდა მათი ხმაშეწყობილი სიმღერები, საზეიმო მუსიკის ჰანგები. ცაში ლაღად დანავარდობდნენ მზის სხივებში გახვეული თეთრი მტრედები, თედონგანიდან მქროლავ მთალერსე ნიავს მდინარის სივრცე და აყვავებულ ბალ-ვენახების საამო სურნელი მოჰქონდა.

როცა ტრიბუნას წითელყელსახვევიანმა ბავშვებმა ჩაუარეს, ამხანაგებს გამოეყო პატარა ცქრიალა გოგონა. სწრაფად აირბინა მან ტრიბუნაზე და ცოცხალი ყვავილების თავიგული გადასცა საყვარელ ქიმ ირ სენს.

მწკრივად მიმავალი ბავშვები კი ხელს უქნევდნენ ეროვნულ გმირს და ხმაშეწყობილად ამბობდნენ:

— ქიმ ირ სენ მანსე, ქიმ ირ სენ მანსე! კორეელი ხალხის ბელადმა ბავშვებს ალერ-



სით გაუღიმა, ხელის ქნევით მიესალმა და ხმაძალა გადასძახა: — სტალინ მანსე, სტალინ მანსე!

ერთხმად გაიმეორეს ბავშვებმა ქიმ ირ სენის ეს მოწოდება, და ამ სიტყვებმა ტალღასავით გადაირბინა დემონსტრანტთა კოლონების თავზე.

— სტალინ მანსე, სტალინ მანსე! — მთელი ხმით იმეორებდა ათასობით კორეელი ადამიანი.



მარგან ლაპანიძე

მხატვარი კ. მახარაძე

წარწერა გაიდარის წიგნზე

მიხარის და გესალმები,
ქალო, დედისერთავ,
აყვავებულს, გახარებულს,
ამაღლებულს გზედავ:
ვიცი წიგნის დობილი ხარ,
ვიცი, გიყვარს ფიქრი...
მეც ეს წიგნი მოგიკითხე —
გაიდარის წიგნი.
გოცნობ ჩემო მეგობარო,
გოცნობ, პაწაწინავ. —
სძინავთ სტუმრებს —
შინ წასულან,
შენ კი — არა გძინავს:
საჩუქრებით აგიკრძლეს
და აგივსეს ტახტი.
დღეს თორმეტი შეგისრულდა.
დღეს თორმეტის გახდი.
აგერ კაბა — მოჩითული,
აგერ — სურა ბროლის...
ვიცი, ყველას თვალს შეაგვლებ,
კარგო, სხვათაშორის;

გაიღიმებ
და წიგნს ვაშლი —
უპირველეს ყოვლის...
ღამეა და სიჩუმეა,
წიგნს ჩასცქერი ღინჯად
შენ კითხულობ
აღბათ „სკოლას“
აღბათ „ციციფერ ფინჯანს“...
შენ კითხულობ ჩუკის ამბავს,
ან მაღჩიშის ზღაპარს.
და სტრიქონზე წამწამების
ჩრდილსა ხატავს ლამპა...
წაიკითხე, ჩემო კარგო.
ჩემო პაწაწინავ,
და გახსოვდეს: ამის დამწერს
შავ ყურღანში სძინავს!
სძინავს მწერალს —
დაბადებულს
კომუნისშემის მხედრად...
წაიკითხე, ჩემო კარგო.
დაგათენდეს თეთრად.

წაიკითხე სიყვარული
ახალ სამშობლოსი
დე გასწავლოს ერთგულება
კომუნისშემის ღრმისი
და, როდესაც წიგნს დახურავ,
დიდოსტატ და მხატვარს —
სამშობლოსთვის თავდადებულს
ჩუმად უთხარ:
„მზად ვარ!“
ასახელებ მასწავლებელს,
ასახელებ მშობლებს!
შენ თუ არა,
მამ ვინ სჯობდეს
აბა, მჯობნის მჯობნებს!
სადაც იყო, შენი ფიქრი
სამშობლოსკენ ჰქროდეს!
შენ მამულის სიყვარული
გშვენიოდეს და გქონდეს!



პატარა ნიანგი

(დასასრული)

სკოლიდან ორმოცდაათი ოდგ მეტრის და-
შორებით კირილე უცებ გაჩერდა და შემოტ-
რიალდა.

— ცემას მიბირებ, არა? — გამომწვევი
კილოთი იკითხა მან.

არტამონოვმა რაღაცა უპასუხა, მაგრამ
მე ვერ გავიგონე.

— აბა, მცემე! სულ ერთია, ამით ვერ გამ-
ტენ... რას გაჩერებულხარ, რატომ არ მცემ?
მცემე!

არტამონოვმა რედაქტორს არ გაარტყა,
მხოლოდ ასწია და თავით თოვლში ჩააყუდა.

და აჰ... მე მივხვდი როგორ შემოქმედა.
ახლა კირილე გაიგებს, თუ რას ნიშნაეს ნამ-
დვილი მეგობრობა! ახლა იგი მიხვდება, თუ
რა აღამიანს იგდებდა მასხარად თავის გა-
ზეთში!

მე შივირბინე მიხეილთან, გავჩერდი მას
წინ და სხაბა-სხუბით მივაყარე.

— რას ყოყოჩობ, რას ყოყოჩობ, რატომ
ჩხუბობ?

არტამონოვი ასევე სწრაფად მიპასუხებდა:

— შენ რაღა გინდა, შენ რაღა გინდა, შენ
რაღა გინდა?

— აბა, აბა, მამლაყინწებო! — მოგვესმა
ზემოდან მკაცრი ხმა. ვილაც გამველელმა
გაგვაშველა.

ამ დროს ჩვენ შევნიშნეთ, რომ სკოლიდან
პედაგოგები გამოდიოდნენ.

— მომითმინე, რედაქტორო, კიდევ ჩამი-
ვარლები ხელში! — თქვა არტამონოვმა და
გაიქცა.

მე ზამიატინისკენ მივტრიალდი. რედაქ-
ტორის ქული ქვაფენილზე ეგდო, თავზე
თოვლი მიჰკრობოდა, მაგრამ რატომღაც მას
მინც კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა.

— გტკივა? — ვკითხე მე.

— არაფერია! მე ამისათვის მზად ვიყავი,
— მიპასუხა რედაქტორმა, თანაც სანის იწ-
მენიდა. — ჩვენ ამით ვერ გავგტენხე! შენ
კი მაღლობა. შენ კეთილშობილურად მოიქე-
ცი. მომეცი ხელი!

ჩვენ მაგრად ჩამოვართვით ერთმანეთს
ხელი. მე ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ
ვერც კი ვლაპარაკობდი.

რედაქტორი საყელოდან თოვლს იბერტ-
ყავდა, მერე ისევ მოიღუშა.

— მხოლოდ, იცი რა, სიმონ... არ გეწყო-
ნოს მაგრამ ჩვენ შენ ისევ დაგგეგმეთ...

მე ჩუმად ვიყავი. ჩუმად იყო კირილეც.

— გესმის, სიმონ! მეგობრობა მეგობრობად
რჩება, პრინციპი კი პრინციპად. ჩვენ და-
გეგმეთ შენი არაჩვეულებრივი ფანჭრის გამო.

მე გვერდზე გადავაფურთხე, მოვტრიალდი
და წავედი.

— გინდა, ალგებრაში დაგეხმარები? —
როგორიღაც საცოდავი ხმით მკითხა რედაქ-
ტორმა.

მე, რასაკვირველია, სარც კი მოვიხედე.

24 თებერვალი.
საძაგელ გუნებაზე ვარ. დღეს მიხეილთან
მივედი და ვუთხარი:

— არტამონოვ, მე გუშინ სწორად არ მო-
ვიქეცი. ახლა მე თითსაც კი არ გავანძრე,
თუ შენ... ხომ გესმის, რაზედაც ვლაპარა-
კობ?

არტამონოვმა თავი ჩაღუნა, ჩაფიქრდა და
ამოიხზრა:

— შავას რა აზრი აქვს! მიტყეპავ, იგი კი
მხოლოდ იამაყებს: პრინციპისათვის დაგზა-
რალდიო, იტყვის. შენიშნე? გუშინდელ ამ-
ბავზე არავისთან არ იხივლა!

25 თებერვალი. 6 საათი და 30 წუთი.

სერიოჟკა ბოდროვმა გამოასწორა ორი-
ანეტი რუსულსა და ფიზიკაში. ახლა მას მხო-
ლოდ ერთი ორიანი აქვს: ალგებრაში.

ხელო ისევ გამოვა „პატარა ნიანგი“, და მე
ისევ მასში ვიქნები გამოკითხული. საკვირვე-

ლია, რანაირი გამომგონებლობის უნარი აქვს
ზამიატინს: სულ ერთსა და იმავე თემაზე

წერს, სულ ერთსა და იმავე ხალხზე და ყო-
ველთვის ახლებურად, ყოველთვის ენამაზ-
ვილად.



არტამონოვა რედაქტორს არ გაართყა, მხოლოდ ასწია და თავით თოვლში ჩააყუდა.

სწორედ ამ წუთს საინტერესო აზრი დამე-
ბადა: „რა მოუვიდოდა „პატარა ნინაგს“, თუ
არტამონოვი, ბოდროვი და მე აღარ მივი-
ღებდით ორინანებს და თავს დავანებებდით
გაკვეთილებზე ლაპარაკს? სად იპოვნიდნენ
მამინ რედაქტორები მასალას თავისი გაზე-
თის გამოსაშვებად? ჩვენს გარდა კლასში
ხომ სხვა ოროსნები არ არიან!“

6 საათი და 50 წუთი.

არა, ეს მართლაც ჩინებულა! წარმოვიდ-
გენით, რა გამომეტყველება ექნება კირკას,
როდესაც დაინახავს, რომ მისი გაზეთისათ-
ვის მასალა აღარ არის! ახლავ დავუჩივავ
არტამონოვს.

7 საათი და 15 წუთი.

ვაჟა! გეგმა მზად არის! არტამონოვი ორ
წუთს იცინის ტელეფონში. ახლავე გავიქცე-
ვი სერიოზულ ბოდროვთან, რომ ვაცნობო
ჩვენი ჯოჯოხეთური განზრახვის შესახებ.

26 თებერვალი.

დღეს გამოვიდა „პატარა ნინაგს“ ახალი
ნომერი. მასში ნახატის ნაცვლად მე დავი-
ნახე ამოკაწრული ფორმულებით აჭრელებუ-
ბული ჩემი ფანქარი, იგი ძაფით იყო მიმაგ-
რებული ქალაქზე. ფანქარის ქვეშ ეწერა:

„ყველაზე ზომიერი გამოანგარიშებით, სე-
ნია ლოჟეჩკინმა ამ ოქრომჭედლოურ სამუ-
შაოს მონაღრომა არა ნაკლებ სამი საათისა.

უკეთესი არ იყო ემუშავა ერთი საათი და
პატიოსნად შეესწავლა ფორმულები?“

არა უჭირს რა, კირილე! თქვენ უქანაკ-
ნელად ზეიმობთ. თქვენ არც კი იცით, რა
ღრუბლები იკრიბება თქვენს ჰორიზონტზე.

თქვენ არც კი იცით, რომ გულში არტამონო-
ვი ერთი საათის განმავლობაში გვიხსნიდა „მე-
და ბოდროვს ალგებრას, მეერე კი ჩვენ ერთ
საათს ვამზადებდით მას გეოგრაფიაში და
თქვენ ჯერ ვერ შეამჩნიეთ, რომ ბოდროვი,
არტამონოვი და ლოჟეჩკინი დღეს ისე ჩუ-
მად ისხდნენ გაკვეთილებზე, თითქოს პირში
წყალი დაეგუბებიათ. თქვენ ვერ შეამჩნიეთ,
რომ არტამონოვს დასვენებებზე არავისთვის
ფეხი არ გამოუჭრავს, არავისთვის არ ჩა-
ურტყამს კეფაში წიკიპურტი. არაფერია! მალე
შეამჩნიეთ!

28 თებერვალი.

გულში არ ჩამიწერია დღიურში: ალგებრა-
ში ემეცადინებოდი. ამ ბოლო დღეებში
კლასში სამარისებური სიჩუმეა. კირა და ვა-
ლერკა გაკვირვებით გვიყურებენ, ჩვენ კი
ჩუმად ვართ და გესლიანად ვიღებთ.

გეოგრაფიის მასწავლებელმა არტამონო-
ვი დავსთან გამოიძახა. რედაქტორმა და
მხატვარმა ყურები ცქვიტეს, — იმედი ჰქონ-
დათ გეოგრაფიის სუსტი ცოდნის შესახებ
ფელეტონისათვის მასალას მიიღებდნენ, მაგ-
რამ მოტყუებდნენ. არტამონოვმა ოთხიანი
მიიღო.

დღეს გაკვეთილების შემდეგ კირილე და
ვალერკა არ წასულან პიონერთა ოთახში ვა-
ნეთის გასაკეთებლად. წარმომიდგენია, რა
მოწყენილები არიან!

29 თებერვალი.

„პატარა ნინაგი“ გამოვიდა!!!

დერეფანში ველარ დაინახავდით მომცანა-
რე ბიჭების ჯგუფს, აღარავინ აჯდებდა ჰაერ-
ში რედაქტორსა და მხატვარს!

მე ალგებრაში ხუთზე ვუპასუხე (წარმოიდ-
გინეთ, საინტერესო საგანი ყოფილა ეს ალ-
გებრა), ბოდროვმა კი სამზე. დიდ დასვენე-
ბაზე რედკოლეგიის უმუშევარი წევრები
სასოწარკვეთილი სახით დერეფანში დაეხე-
ტებოდნენ, მე და არტამონოვი კი უკან დავ-
ყვებოდით და დავცინობდით.

— პატივცემულო ზენიჭიერი რედაქტო-
რებო! — ვამბობდი მე. — ნება მომეცით
გავიფო, რატომ არ გამოდის თქვენი შესა-
ნიშნავი სატირული გაზეთი? მასალა არ
გყოფნით? ყველა ხულიგანმა და უქნარამ
გაფიცვა გამოაცხადა? ოჰ, რა უმსგავსოება!

— თქვენ ასეთი განცხადება გამოაქვეყნეთ,
— ურჩევდა არტამონოვი: — „თვითუფლი,
ვისაც სურს სატირული გაზეთის კითხვა,
ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც მიიღოს
ორიანი და დაარღვიოს დისციპლინა“.

— დააწესეთ ჯილდო ოროსნებისათვის, —
წინადადებას ვაძლევდი მე. — ანდა ვადაი-
ნახეთ ფული ასეთი ნიხრის მიხედვით: ორი-
ნისათვის — მანეთი, გაკვეთილზე ლაპარაკის
სათვის — ათი შაური.

1 მარტი.

ეჩქარობ ჩავიწერო დღევანდელი დღე-მნიშვნელოვანი ამბები!

გაკვეთილების შემდეგ კლასში შემოვიდა იგორი და თქვა:

— ყურადღება! გთხოვთ ნუ დაიშლებით. გუშინ საღამოს შედგა რაზმეულის საბჭოს სხდომა. ახლა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ლიოვა კუროჩკინი წაგიკითხავთ ამ სხდომაზე მიღებულ დადგენილებას.

ლიოვა კათედრაზე ავიდა და დაიწყო კითხვა:

— „რაზმეულის საბჭო აღნიშნავს, რომ მეექვსე „ბ“ კლასმა, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო კლასად სკოლაში, უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. უკანასკნელი დროის განმავლობაში ამ კლასის მოსწავლეებს არ მიუღიათ არც ერთი შენიშვნა დისციპლინაში და მთლიანად აღმოფხვრეს ცუდი ნიშნები...“

— ვაშა! — დაიყვირა არტამონოვმა.

მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი კლასი ყველაზე უნარიანი, ყველაზე მეგობრული კლასია მთელ სკოლაში.

თავმჯდომარემ მოიცადა, სანამ ჩვენ გავჩუმდებოდით, და განაგრძო:

— „... რაზმეულის საბჭოს აზრით, კლასის წარმატებებს დიდად შეუწყობ ხელი სატირულმა გაზეთმა „პატარა ნიანგმა“, რომელიც გაბედულად და განურჩევლად პიროვნებისა ებრძოდა ნაკლოვანებებს კლასში და მიაღწია იმას, რომ ყველაზე უწყისრიგო მოსწავლეებიც კი გამოსწორდნენ და აღარ ეწყვიან კლასს უკან...“

მე, ბოდროვმა და არტამონოვმა ერთმანეთს გადავხედეთ და ხელად მოვიღიშეთ, ლიოვამ კი აიმაღლა ხმა და განაგრძო:

— „... რაზმეულის საბჭო ადგენს: პირველი. გაზეთ „პატარა ნიანგის“ რედაქტორს — მეოთხე რაზმის პიონერს კირილე ზამიატანს და „პატარა ნიანგის“ მხატვარს, იმავე რაზმის პიონერ ვალერი პელიკანოვს გამოეცხადოს მადლობა. მეორე. რაზმის სატირული გაზეთიდან რაზმეულის სატირულ გაზეთად მისი გარდაქმნის გზით გაფართოვდეს „პატარა ნიანგის“ მოქმედების არე.“

ლიოვამ ჩამოიბრინა კათედრიდან და დაჯდა თავის ადგილზე. ყველამ ერთად „პატარა ნიანგის“ პატივსაცემად „ვაშა“ შესძახა. ბოდროვმაც კი რატომღაც დაიძახა „ვაშა“. არ ვყვიროდი მხოლოდ მე და მხელილი.

იგორმა რედაქტორებს გადახედა და ხელი ასწია:

— ჩუმად! სიჩუმე! ახლა თქვენს წინაშე გამოშვებული იქნება რაზმის „პატარა ნიანგის“ საგანგებო და უკანასკნელი ნომერი.

გთხოვთ სრული სიწყნარე დაცვათ და ხელი არ შეუშალოთ რედაქციას მის საპასუხისმგებლო მუშაობაში... ამხანაგო რედაქტორებო, გთხოვთ!

ნათელი იყო, რომ მათ ყველაფერზე წინასწარ მოილაპარაკეს, მაგრამ რაზე — არავინ იცოდა. მთელი კლასი მიყურდა. ადგილიდან წამოდგა ვალერია, ავიდა კათედრაზე და ხმის ამოუღებლად დაიწყო დაფანტა „პატარა ნიანგის“ სატირის ხატვა. ქვეშ მან მიაწერა: „საგანგებო გამოშვება“. მუშაობის დამთავრების შემდეგ მხატვარი ასევე ხმა-ამოუღებლად დაჯდა თავის ადგილზე, დაფანტა კი რედაქტორი გაეშურა და დაიწყო წერა. ის წერდა, მთელი კლასი კი მარცვალ-მარცვალ წმამაღლა კითხულობდა დაწერილს:

— „ძა-ლი-ან სა-სი-ა-მოვ-ნო-ა, რომ არტა-მო-ნო-ვი, ბოდ-რო-ვი და ლო-უჩი-კი-ნი გა-მოს-წო-რ-დნენ. სამ-წყუხა-როდ, და-დის ხმე-ბი, რომ ი-სი-ნი გა-მოს-წო-რ-დნენ მხო-ლოდ ი-მი-სათ-ვის, რომ „პა-ტა-რა ნი-ან-გი-სათ-ვის“ სა-მა-გი-ე-რო გა-და-ე-ხა-დათ. ა-სე-ა ეს თუ არა?“

რედაქტორმა დაამთავრა წერა და თავის ადგილზე დაბრუნდა. ბიჭები იცინოდნენ და მხიარულად გვიყურებდნენ, ჩვენ გაჭარხლებულები ვისხედით და არ ვიცოდით, გავბრანებულყოფით თუ ჩვენც გვეცინა.

— აბა! რედაქცია პასუხს ელის ამ კორექსპონდენციაზე, — თქვა იგორმა.


მიშა არტამონოვი ადგა, დარცხვნილი ღიმილით მივიდა დაფასთან და დაწერა:

„კრიტიკას სამართლიანად ვთვლით“ .
მ. არტამონოვი.

მე და ბოდროვიც ავდექით და გავეშურეთ ხელის მოსაწერად...

ვამთავრებ წერას. ნახევარ საათში მე და კირილე კინოში მივდივართ.

თარგმანი თ. გორდელაძისა



ახალი ლექსები თბილისზე

შენ ძვირფასო მარგალიტო...

მთაწმინდიდან გადმოგხედავ,
გულს აიტანს მღელვარება;
დღისით ზღვა ხარ ბაღნარების,
ლამით ვარსკვლავთ ეღვარება.

შენ ძვირფასო მარგალიტო
საბჭოეთის ზღვა და ხმელთა,
შენ მოხუცო უხსოვარო,
შენ ჭაბუქო ჩვენთა დღეთა,

ცხრათვალა მზე დაგტრიალებს,
სიო დაგკრავს სამგორისა,
თან მოსძახის სანაპიროს
მტკვრის სიმღერა ამბორისა.

დიდ სტალინის ნათელ გზაზე
შენს მომავალს მტკიცედ სჭედავ...
შავარდნების საბუდარო,
უტკბილესო ქართლის დედავ.

ირაკლი აბაშიძე



მე უკვე ვხედავ

ამ წმინდა მთიდან დაგყურებ ახლა
და მსურს აქედან გელაპარაკო:
შენს გამარჯვებას და წინსვლას ახალს
მე უკვე ვხედავ, დედაქალაქო.

ჩამწყვრივდებიან, ლაყვარდს გახევენ
და ქონგურებით ცას მიწვდებიან.

მე უკვე ვხედავ ხვალინდელ დღესაც,
გუშინდელ დღეზე ნათელს და მზიანს,
დიდებას შენსას, სიხარულს შენსას,
შენი ერთგული შვილები ზრდიან.

მე უკვე ვხედავ ახალ ჩირაღდნებს,
ხვალ რომ შენს მეგრდში გაჩაღდებიან,
გაჩაღდებიან ივრის პირამდეც
და... შენი ბჭენი ამაღლდებიან!

მე უკვე ვხედავ იმ სასახლეებს,
ხვალ რომ რუსთველზე ჩამწყვრივდებიან,

... მე მთაწმინდიდან დაგყურებ ისევ,
მგონია, ვდგავარ ვარსკვლავთა ზემოთ,
და შენი გულის დაძახილს ვისმენ,
თბილისო ჩემო, დედაო ჩემო!..

ხუბა ბერუავე





ლეონარდო და ვინჩი

1452-1952

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ გასული წლის ნოემბერში დაადგინა ზეიშით აღნიშნოს ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლის-თავი, რომელიც 1952 წლის 15 აპრილს შესრულდა. ჩვენი ახალგაზრდა მკითხველები უეჭველია გაეცნობოდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის, გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მიმართვის მსოფლიოს ხალხებისადმი, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„ხალხებს აქვთ საერთო განძი, როგორც არის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი ნაწარმოებები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებენ გენიის ნიშანს. ეს კულტურული მემკვიდრეობა კაცობრიობისათვის დაუმორეგელი წყაროა. იგი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ეპოქის ადამიანებს გაიცნონ ერთმანეთი, გაიგონ, თუ რა აკავშირებს მათ ამჟამად. იგი უქმნის მათ საყოველთაო თანხმობისა და ურთიერთგაგების პერსპექტივებს. იგი ყოველ წუთს უნერგავს მათ ადამიანისადმი რწმენას იმ მომენტ-

ში, როცა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე საჭიროა ურთიერთგაგება.

ჩვენ მოვუწოდებთ ხალხებს და ყველა ადამიანს ერთობლივად სცენ პატივი იმათ, ვინც მათი შრომების მნიშვნელობის მეორებით მთელ კაცობრიობას ეკუთვნის“. და ამ მოღვაწეთა შორის, რომელთა სსოვნაც 1952 წელს უნდა აღნიშნულიყო, ჟოლიო-კიური ასახელებდა ლეონარდო და ვინჩის, „რომლის მრავალმხრივი ნიჭიც გამოიხატა ერთსა და იმავე დროს ფერწერის შედეგებითა და შემოქმედებითი აზრით, რომელიც თანამედროვე გამოგონებათა წინამორბედი გახდა“.

ლეონარდო და ვინჩი ცხოვრობდა აღორძინების, ანუ რენესანსის ხანაში¹, როცა იტალიაში მუასაუკუნეთა ფეოდალურ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა ირღვეოდა და ადგილს უთმობდა ახალს — ბუნების გონიერ შესწავლაზე დამყარებულს. ეს იყო მსოფლიო ვაჭრობის ჩასახვის, ქალაქების ზრდა-განვითარების, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და გაბედული მეცნიერული კვლევადიების ხანა, ხანა, რომელსაც ფრიდრიხ ენგელსის სიტყვით, სჭირდებოდა და რომელმაც შექმნა კიდევ — აზროვნების სიძლიერით მრავალმხრივობითა და განათლებით ბუმბერაზი ადამიანები.

სწორედ ასეთი მრავალმხრივი ადამიანი იყო ლეონარდოც. ხელოვნების მთელ წარსულ ისტორიაში მას, როგორც მხატვარს, ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს. იგი მოქანდაკე და ხელოვნობისმთავარიც იყო, იმავე დროს სამხედრო ინჟინერიც — სხვადასხვა სამხედრო იარაღთა გამოგონებელი — მექანიკოსი, ფიზიკოსიცა და მათემატიკოსიც; იგი მუშაობდა საფრენი აპარატის შექმნის საკითხზედაც. არ დარჩენილა ცოდნის თითქმის არც ერთი დარგი, რომლისადმიც ლეონარდოს ღრმა ინტერესი არ გამოეჩინოს. და მაინც, ყველაზე ღრმა კვალი მან დატოვა, როგორც მხატვარმა, თუმცა რაოდენობით მისი სურათები ძალიან მცირეა.

ლეონარდო დაიბადა სოფ. ანკიანოში, ნოტარიუსის ოჯახში, მაგრამ სიჭაბუკის წლებში, როცა ყალიბდებოდა მისი ოსტატობა და მსოფლმხედველობა, მან ქ. ფლორენციაში გადატარა. ფლორენცია ქალსაუკუნეში იტალიის ყველაზე მოწინავე კულტი და მისი კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. აქ უკვე მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი ახალ, რეალისტურ ხელოვნებას, რომელმაც მუასაუკუნეთა საეკლესიო, ამქვეყნიურ ცხოვრებას მოწყვეტილი, ხელოვნების ადგილი დაიჭირა. ლეონარდო სწავლობდა ცნობილი მოქანდა-

1. ეს ხანა XIV-XVI საუკუნეებს შეეიცავს.



ჯოკონდა

ქისა და მხატვრის ვეროკიოს სახელოსნოში. 1480 წელს მას უკვე საკუთარი სახელოსნო ჰქონდა. ამ ხანებს — 70-იან წლებს, 80-იანი წლების დასაწყისს ეკუთვნის ლეონარდოს პირველი სურათები. ამ სურათებში ჩანს, რომ იგი უკვე შესანიშნავად დაუფლებულია პერსპექტივასა და ანატომიას, რომელთა ცოდნის გარეშე რეალისტური მხატვრობის განვითარება შეუძლებელი იყო, რომ მას დიდი ოსტატობით შეეძლო ადამიანის ფიგურის ყოველგვარი მოძრაობის გადმოცემა. იმავე დროს, იგი სურათის საერთო აღნაგობის (კომპოზიციის) საკითხსაც ახლებურად წყვეტდა, ცდილობდა მათემატიკური კანონზომიერებისათვის დაექვემდებარებინა იგი.

1482-1499 წლებში ლეონარდო ქ. მილანოს მბრძანებლის პერციოგის ლუდოვიკო მოროს კარზე მსახურობდა. აქ შექმნა მან თავისი სახელგანთქმული სურათები „ღვთისმშობელი მღვიმეში“ და ფრესკა (კედლის მხატვრობა) „საიდუმლო სერობა“, რომელშიაც საღვთო წერილიდან აღებული სიუჟეტია გადმოცემული. მომდევნო წლებშია შესრულებული მსოფლიოში სახელმთხვეჭილი პორტრეტი ფლორენციელი ქალისა, ე. წ. „ჯოკონდა“, ანუ „მონა ლიზა“, „ანგარის ბრძოლა“ ფლორენციის ქალაქის საბჭოს

დარბაზის კედელზე (დაღუპულია), ანუ „ანგარის ბრძოლა“ და „იოანე ნათლისმცემელი“. ბოლო წლებში ლეონარდომ საფრანგეთში გაატარა. აქვე გარდაიცვალა იგი 1519 წლის 2 მაისს.

თუმცა ლეონარდოს სურათების უმეტესობას სასულიერო სიუჟეტები აქვს, ნამდვილად ამ სურათებში სარწმუნოებრივი განწყობილება სრულებით არ არის. ლეონარდოს აინტერესებდა არა გამოგონილი წმინდანები, არა ლეგენდური ამბები, არამედ ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანი — ფიზიკურადაც და სულიერადაც ყოველმხრივ განვითარებული, ამ ადამიანის გაცნობა და მისი სულიერი სამყაროს სიმდიდრე. ლეონარდოს ყველა სურათში — იქნება ეს ცალკე პორტრეტი, თუ სიუჟეტური დიდი სურათი, მთავარი ადგილი სწორედ ადამიანს უჭირავს. ლეონარდო იყო შეუღარბელი ოსტატი სურათის კომპოზიციისა: მის სურათებში ყველაფერი ღრმად და ყოველმხრივად მოფიქრებული, უკუგდებულა ყველაფერი, რაც დედანობის უკეთ გამოხატვას არ უწყობს ხელს. ლეონარდომ ახალი სიტყვა თქვა სურათში „შუქისა და ჩრდილის გამოსახვის მხრივაც, ამას გარდა, მან პირველმა შეძლო სურათის ისე შესრულება, რომ მაყურებელი ნამდვილად გრძნობს სურათში სივრცეს, ჰაერს.

ლეონარდო ნახატის ბრწყინვალე ოსტატი იყო. მისი ნახატები, რომლებიც ფანქრით ან კალმითაა შესრულებული, შინაარსას მხრივ მრავალფეროვანია (პორტრეტები, პეიზაჟები, კარიკატურები, მანქანებისა და შენობათა პროექტები, ანატომიური ნახატები და სხვ.). უდიდეს ინტერესს შეადგენს ლეონარდოს ნაწერებიც: დღემდე დარჩენილია 7.000-მდე გვერდი მისი უბის წიგნაკისა, რომელშიაც იგი თავის შენიშვნებსა და თეორიულ მოსაზრებებს იწერდა. აქედან მხოლოდ ნაწილია მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული, მაგ. „ტრაქტატი მხატვრობაზე“, რომელშიაც განზოგადებულია აღოჩინების ხანის რეალისტური მხატვრობის პრაქტიკული გამოცდილება.

ლეონარდო და ვინჩის რეალისტური ხელოვნება, მთელი მისი მეცნიერული კვლევა-ძიება ადამიანის კეთილდღეობასა და წინსვლას ემსახურებოდა. ლეონარდოს მეშვეობით უცხოა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დღევანდელი ხელოვნებისათვის, რომელიც დიდი ხანია მოწყდა რეალიზმის მკვიდრ ნიადაგს.

ლეონარდოს ნამდვილი მემკვიდრე და დამფასებელი — მშვენიერებისათვის მებრძოლი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ხელოვნებაა.

პეხჰან ბერიძე

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი



კ ა ც ი გ ზ ა ზ ე

★

ალბერტ მალსი ცნობილი ამერიკელი კომუნისტი მწერალია, თავის ზოთხრობებსა, პიესებსა და სტატიებში იგი მკვეთრად ამხილებს ამერიკულ-ლიბერალიზმის საშინელებას და ექსპლოატირებული მშრომელი ხალხის მძიმე ცხოვრებას აგვიწერს. შისი ნაწარმოებების გმირები უმეტესად ახალგაზრდები არიან. მოთხრობა „კაცი გზაზე“ შემოკლებით იბეჭდება; აქ აღწერილი ერთი ამერიკელი ახალგაზრდა მუშის თავდასაგალი.

★

ნაშუადღევს ოთხი საათი იქნებოდა, როცა გოულსის ხილს გავცდი და გვირაბს მივაღდექი. გზა აქ საშინლად დაკლაკნილია და ამიტომ სვლა შევანელე — დაახლოებით ათი მილის სისწრაფეზე ჩამოვიყვანე, — მაგრამ, მაინც, კინალამ კაცი არ გავიტანე. დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა და გზა ყინულივით სრიალა გამხდარიყო. თანაც ჩამობღვერილი ცისა და განუწყვეტელი წვიმის წყალობით ბნელოდა კიდეც — უფარნებოდ სიარული არ შეიძლებოდა. შევედი თუ არა გვირაბში, მეორე მხრიდან დიდი საბარგო მანქანა გამოჩნდა, მაგრამ ამ დაკლაკნილ გზაზე მისი სინათლე შორიდან არ შემინიშნავს. გვირაბი ვიწრო იყო, ორი მანქანა გაქირავებით თუ აუქციევდა გვერდს ერთმანეთს. მანქანა უცებ დავამზრუბე და გავაჩერე.

საბარგო ავტო ერთბაშად შემობრუნდა, ფრთაზე გამკრა და გოჯის მანძილით ჩამიარა.

ის იყო ადგილიდან დაძვრას ვაპირებდი, რომ ჩემს წინ, იქვე ერთი ფუტის მოშორებით, კაცი შევნიშნე. გავშეშდი. ვერ ვიფიქრე, ალბათ ახლა შემოვიდამეთქი გვირაბში. მაგრამ არა, იგი ნახევრად შებრუნებული იდგა; ახალი შემოსული რომ ყოფილიყო, პირით ჩემკენ იქნებოდა. იდგა, მიშტერებოდა მოპირდაპირე კედელს და ხელი პაერში გაეშვირა, სწორედ ისე, როგორც მანქანის გაჩერების ნიშანს აძლევს ხოლმე. აშკარა იყო, რომ მან ვერ შემინიშნა. „ეი!“ შევძახე. არ მიპასუხა. უფრო მაგრად დავუყვირე. თავიც კი არ მოუბრუნებია. ერთთავად იდგა, პაერში ხელგაშეშებული. შემეშინდა — მოჩვენება ხომ არ არის-მეთქი, ვიფიქრე. ჩემი საყვირი საკმაოდ ძლიერი იყო, თანაც გვირაბი ერთი-ორად გააძლიერებდა ხმას. საყვირის ღილს თითი მაგრად დავაჭირე.

თითქოს ღრმა ძილში ყოფილიყოს, ოღნავ შეადვიდა საყვირის ხმამ. თავი ნელა მოაბრუნა და შემომხედდა. მოსული კაცი იყო, ფართო სახიანი. ვერ ვიტყვი კეთილი იყო ეს სახე თუ გაბოროტებული, ჰქვიანი, თუ გამოთაყვანებული. უბრალოდ ეს იყო ბრგე კაცის სახე, წვიმით ჩამოწულული; იგი ჩაღამებული თვალეებით შემომყურებდა; ასეთი სახის ხალხს ბევრს ნახავ, მაგრამ თვალები იყო საოცარი — არ გავდა არც ლოთის გამოთაყვანებულ გამოხედვას, არც გიჟის არეულ მზერას. ამან მხოლოდ ერთი კაცი მომაგონა, რომელიც კიბოთი მოკვდა. სიკვდილის წინ მასაც ასეთივე ჩაღამებული, უსიცოცხლო თვალები ჰქონდა; თითქოს ამქვეყნად არ იყო და სადღაც შორს, წარსულში იყურებოდა.

იგი ზღაწვით მოადგა მანქანის კარს. მეგონა, შეკრთებოდა მაინც, როცა ნახავდა, როგორ ბეწვზე გადარჩა; მაგრამ არა, მის სახეზე არაფერი გამოსახულა.

— ვერ წამიყვანთ, მეგობარო, ვესტონს მივდივარ? — მომმართა მან.

მე შევნიშნე ჩამობტვრული და თუთუნისაგან ჩაკვითლებული დიდი, ცხენის კბილები. ტანსაცმელს დავაკვირდი — დაძველებული ქული ეხურა, ეცვა ახალი ლურჯი სამუშაო ხალათი და შავი შარვალი. ტანსაცმელმა ვერაფერი მიხსრა.

არ ვიცოდი რა მეპასუხსა. ამ შემთხვევის შემდეგ ერთბაშად მოვიხალე და მიწოდდა როგორმე ჩქარა გავცლოდი გვირაბსაც და თვით ამ კაცსაც. მაგრამ, როცა შევხედე თავით ფეხებამდე გაწულულს, ჩემი პა-



სუხის მორჩილად მომლოდინე ადამიანს, თვითონვე შემერცხვა უარის თქმა.

— შემიღლით — ვუთხარი მე.
იგი გვერდით მომიჯდა და გზა განვაგრძეთ. გო-
ულიდან ვესტონამდე ასამდე მილია, — ძნელად სავა-
ლი, აღმართ-დაღმართი, გველივით დაკლაქნილი გზა.
წვიმის გამო კიდევ უფრო გაძნელებული იყო სვლა
და ძალიან ნელა უნდა გვევლო. რამდენჯერმე ვე-
ცადე გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ვერ მოვანერხე.
იტყობოდა არ ესმოდა ჩემი. იჯდა მორფისაგან გამო-
თავყანებულ ადამიანისვით და ჩემი სიტყვები, ძველი
მანქანის გუგუნის, კოკისპირული წვიმის ჩხრაილი —
მის ყურამდე რაღაც შორეულ, გაურკვეველ ზუზუ-
ნად აღწევდა.

რამდენი ხანია გვირაბში ხართ-მეთქი, ვკითხე მა-
შინვე, როგორც კი გზას გავუღდექით.

— არ ვიცო, — მიპასუხა მან, — ალბათ დიდხან-
სია.

— წვიმას აფარებდით თავს? — უფრო ხმაშემა
გავუშეოდე.

არაფერი უპასუხია, მხოლოდ თავი მოაბრუნა:
„უკაცრავად მეგობარო, რამე მითხარით?“

— დიას, მივუვებ მე, — კინაღამ გაგიტანეთ მან-
ქანით, ვერ გაიგონეთ ჩემი ყვირილი?

— ა — არა, — ყოყმანით თქვა მან. — ალბათ ფე-
რებში ვიყავი.

„ალბათი“ — გაეფიქრე ჩემთვის და მერე მას
მივმართე: — ყურს ხომ არ გაკლიათ?

— ა — არა, — მიპასუხა მან და კვლავ მიაბრუ-
ნა თავი.

გადავწყვიტე კიდევ გამოვლაპარაკებოდი, მეშინოდა,
ისევ ფიქრებში არ წავიდეს-მეთქი.

— საშუაოს ეძებთ?
— დი-ას.

ეტყობოდა თავს ძალას ატანდა. ლაპარაკი კი არ
უქირდა, სხვა რაღაც აწუხებდა, უფრო ღრმა, —
თითქოს უძნელებოდა კავშირის გაბმა ჩემსა და თა-
ვის საკუთარ სამყაროს შორის.

— რაიმე ხელობა გაქვთ? — გამიხარდა რომ ასე-
თი შეკითხვა მოვიგონე. ადამიანის ხელობას რომ გაი-
გებ, უკვე ბევრი რამ იცი მასზე, თანაც საშუალება
გეძლევა საუბარი გააბა.



— მაღაროში ვმუშაობ ხოლმე.
„კეთილი, — გაეფიქრე ჩემთვის, — უკვე რაიმე
დაცას მივალწვივით“.

სწორედ ამ დროს მოუვირწყვლავ ტალახიან გზას
მივადექით და იძულებული გავხდი მეტის სიფრთხი-
ლით შემართა მანქანა. საუბარი შევწყვიტე. მაგრამ
როცა კვლავ მოვირწყვლულ გზაზე გავედით, იგი უკ-
ვე გადაკარგული იყო თავის ფიქრებში.

ვცადე გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ვერაფერს გავხ-
დი, არც კი მისმენდა. თითქმის მთელი ოთხი საათი
ჩუმად ვიყავით, ხმა არ ამოგვიღია. იჯდა იგი გაუნ-
ძრევლად, თვლები გზისათვის მიეშტერებინა, მაგრამ
ვერაფერს ხედავდა... ლოდინით გაქვავებულს მხო-
ლოდ სუნთქვით ვატყობდი, რომ ცოცხალი იყო.
მიმედ სუნთქავდა.

მხოლოდ ერთხელ შეინძრა, — როდესაც საშინელი
ხველა აუტარდა. იმდენად საშინელი იყო ეს ხველა,
რომ მთელი სხეული შეურყია, ყვიანახველიანი ბავშ-
ვით მოაკავა; ამოხველება სცადა, მაგრამ ვერ მო-
ხერხა. მკერდში რაღაც საშინლად უხიხინებდა, თით-
ქოს ძვლებს ლითონის საჭრეთელი უფხეკავენო. სა-
მი წუთის განმავლობაში სული ვერ მოიბრუნა. მერე
მომიბრუნდა, ბოდიშს ვიხდით მითხრა.

საათები გადიოდა. წვიმა. ბნელოდა!

ასე რვა საათი იქნებოდა, როცა ვესტონს მივალ-
წვივით. მოკაცული, შეცვივებული და მშვიერი ვიყავი.
მანქანა კაფისთან გაუჩერე და ჩემს თანამგზავრს
მივმართე:

— არ დაღვეთ ერთ ფინჯან ყავას ჩემთან ერთად?
— დაღვევ, — მიპასუხა მან, — მაღლობელი ვარ.

ამ მაღლობამ ბევრი რამ ამისხნა. შევედით კაფე-
ში. მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ახლა
შავდა იგი ადამიანს. მართალია არ ლაპარაკობდა,
მაგრამ არც გადაკარგული იყო თავის გამოუცნობ
ფიქრებში. მიუჯდა მაგიდას და ყავას ელოდა. რო-
ცა მოგვიტანეს, ნელ-ნელა შეხვრიბა, ფინჯანს ორი-
ვე ხელი შემოახვია, თითქოს ხელებს ითბობსო.

ყავა რომ შესვა, სენდვიჩი შევთავაზე. მან შემომ-
ხედა და გაიღიმა. ეს იყო რაღაც რბილი ღიმილი, რო-
მელმაც სახე მთლიანად გაუნათლა. ამ ღიმილმა სავსე-
ბით შემარყია. კი არ გამათბო—პირიქით, თითქოს გუ-
ლი ჩამწყდა. მინდოდა დამეყვირა: „ოჲ, საბარლო ადა-
მიანო!“.

მერე გამოვლაპარაკა. სახზე კვლავ ის ღიმილი
შერჩნოდა და მე ვხედავდი თუთუნისაგან გაყვით-
ლებულ მის ცხენის კბილებს.

— თქვენ სიკეთე მიყავით, მეგობარო და მაღლო-
ბელი ვარ.

იგი კვლავ შემომყურებდა. ვიცოდი, რაღაცის
თქმას ამირებდა და მეშინოდა.

— მინდა რაღაც გთხოვოთ, ვერ შემისრულებთ?
— მითხარით, — ვუპასუხე მე.

იგი რბილად ლაპარაკობდა.

— აგერ წერილი მაქვს, ცოლსა ვწერ, მაგრამ კარ-
გად წერა არ შემიძლია. იქნება დამავლოთ და გადა-
მიწეროთ.

— სიამოვნებით.


— თქვენ ალბათ კარგად იცით წერა. — თქვა და
გაიღიმა.

— დიას.

როცა ჩემგან აღარაფერ ამბავს არ მიღებდით, ალბათ აჯობებს მთავი წახვიდე, დიდელაშენთან. იგი მოვივლით შენცა და ჩვენს პატარა ბიჭსაც. ჩვენი ბიჭი მაღაროს არ გააკარო. ნუ დამპრახავ, ასე რომ გტოვებთ, როცა ბიჭი წამოიჭრდება, უთხარი, როგორ მომიღეს ბოლო.

შენი მოსიყვარულე ქმარი

ჯეკ პიტკეტი“.



მან წერილი გადმომცა. მებუფებებს ქალაღლი ვთხოვე და წერილი გადავწერე.

„ჩემო ძვირფასო ცოლო,

ამ წერილით ისეთი რამ უნდა გითხრა, რაც შეინიდან წამოსვლამდე არ მითქვამს შენთვის. არის მიზეზი, რის გამოც მე მაღაროში სამუშაოდ აღარ მდებულობენ. გეუბნებოდი სამუშაო არ არის-მეთქი, სინამდვილეში სულ სხვაგვარადაა საქმე. ეს იქიდან მოდის, როცა მაღარო დაიხურა და მე გვირახბის გათხრაზე დავიწყე მუშაობა. ახლა მაღაროს ზედამხედველი იახის, გვირახბში ვინც მუშაობდა, იმათ ჩვენ აღარ ავიყვანათო. ეს სულ იმ კლდის ბრალია, რომლის ბურღვაზედაც ჩვენ ვმუშაობდით. კლდე კვარცი და ბროლი იყო. ბურღვის დროს ამ ბროლის მტვერს ფილტვებით ვისუნთქავდით და ამან ყველა დაგვასწულა. ექიმმა სწორედ ასე მითხრა — სილიკოზისი არისო: ფილტვები მთლიანად ამ მტვერით იფარება და შემდეგ სუნთქვასაც წყვეტს.

ჩვენ ქალაქიდან შორსა ვცხოვრობთ და ამიტომაც არ გავიგია, — ორი დღის წინ თომას პრესკოტი და ჰანსი მაკალოუ მოკვდნენ. ეს რომ გავიგე, მაშინვე ექიმთან მივედი. ექიმმა მითხრა, შენც ისეთივე ავადმყოფობა გპირს, რაც თომა პრესკოსაო; თურმე მიტომაც ვახველებ. ჩემი ფილტვებიც სულ დაფარულია იმავე მტვერით. ჩემს გარდა გვირახბში მომუშავე ას კაცსაც აქვს კიდეც ეს ავადმყოფობა. საშინელი სწულდება. ექიმი ამბობს, არაფერც არ მოხდებაო, გვირახბში რომ სათანადო ვენტილაცია მოეწყობათ.

რა ვქნა, მივდივარ, რადგან ექიმმა მითხრა დახლოებით ოთხ თვეში მოკვდებიო. იქნებ სადმე სხვანაირი ვიშოვო სამუშაო. სანამ მოკვდებოდე, თუ კი რამე ფული ავიღე, სულ შენ გამოვიგავნი. არ მინდა ზედმეტ ბარგად დავაწვე, მიტომაც მივდივარ.

იგი დიდხანს კითხულობდა ჩემს გადაწერილ წერილს. მერე დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

— მაღლობელი ვარ, მეგობარო. — თქვა მან. მერე თავი ოდნავ ჩაჰკიდა და ძალიან რბილად განაგრძო. — საშინლად ვიტანჯები. ჩემი ცოლი კარგი ქალი იყო. — იგი დაჩუმდა და შემდეგ ოდნავ განაგრძო, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო, თქვა: — ძალიან ცუდად ვარ.

სახეში შევხედე. მისი თვალებიდან თანდათან ქრებოდა სიცოცხლე, მიდიოდა სადღაც ღრმად, როგორც მბუტბავი სანთელი, რომელიც ჩვენგან მიდის, გვშორდება და ღამის წყვილიში იკარგება.

თვალებს კვლავ ის არაფრისმთქმელი, ჩლუნგი გამომეტყველება გადაეკრა. ისევ დავკარგე იგი: იჯდა თავის მწუსარებაში გახვეული, ფეჭრებში ჩაძირული.

ეს იყო და ეს. ჩვენ ერთად ვისხედით. მე განვიცდიდი მხოლოდ გამოუთქმელ ტკივილს, — მისდამი სიყვარულსა და სიბრალულს; და ცივ, ღრმა სიძულვილს მათ მიმართ, რომელთაც იგი მოჰკლეს.

იგი წამოდგა ჩუმად წალასლასდა კარებისაკენ. მე ვხედავდი მის ბრვ, ფართო მხარბეჭიან სხეულს, რომელიც თანდათან გაუჩინარდა სიხნელესა და წვიმაში.

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ზველიძემ



ემზარის ძალა



ამ შემთხვევის მოგონება ემზარ ცუცქირიძის სირცხვილისაგან ლოყებზე ახლაც აღმზურს ჰკიდებს. ერთ დღეს, როდესაც იგი და რაუდენ ჯინჯოლია სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, გაკვეთილების დამზადების შემდეგ თეატრში წასვლა გადაწყვიტეს. მეგობრები გზაჯვარედინზე ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

რაუდენის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ერთი საათის შემდეგ ეზოს შესასვლელთან ემზარი დაინახა.

ემზარი მიხვდა რაც ანციფტრებდა რაუდენს.

— უკვე დავამზადე ყველა გაკვეთილი, — თავს იმართლებდა ემზარი, — არითმეტიკაში კი დღეს ვუპასუხე და ხვალ ჩემი გამოძახება მოსალოდნელი არაა.

— ხვალისათვის რთული ამოცანები გვაქვს, — არწმუნებდა რაუდენი სტუმარს, — უმჯობესი იქნება, თეატრში წასვლა დღეს გადავდლოთ. ემზარი გაჯიუტდა, ამხანაგს გულცივად დაემშვიდობა. თავისი მინც არ დაიშალა.

მეორე დღეს პირველ გაკვეთილად არითმეტიკა იყო.

— ცუცქირიძე, დაფასთან! — გაისმა მასწავლებლის ხმა. ემზარისათვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დაიბნა. მაგრამ იძულებული შეიქნა რაღაც მინც ეამბნა. იგი ძალზე სუსტად პასუხობდა, საშინაო დავალებაც შესრულებული არ ჰქონდა. შემდეგ მან საყენის ძნელად ათვისება მოიმიზნა, მაგრამ „ორიანს“ თავი მინც ვერ დააღწია...

უფროსი პიონერხელმძღვანელი აბესალომ ჩოგოვაძე და კლასის ხელმძღვანელი თალიკო ჩიხლაძე დიდ დასვენებაზე ემზარს ესაუბრებოდნენ.

— რა გიმოლის ხელს, ემზარ, გვითხარი, ყოველნაირად დაგეხმარებით. შენთან ვართ მასწავლებლები, შენთან არიან ამხანაგებიც.

ემზარს თვალები ძირს დაეხარა, ხმას არ იღებდა. ასე მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. შემდეგ მან გუშინდელ თავის შეცდომაზე ილაპარაკა და ისიც დაუმატა, რომ არითმეტიკა არ იტყვებდა.

... ეს პატარა საფოსტო ყუთი სკოლის დე-

რეტანში მოულოდნელად გაჩნდა. მასთან ხშირად გროვდებოდნენ ბავშვები და შიგ ავლებდნენ მათთვის საინტერესო მეთოთხეებს. ორი დღის შემდეგ ყუთი ჩამოხსნეს. მის ადგილზე იყო განცხადება: „შაბათს, გაკვეთილების შემდეგ ჩატარდება არითმეტიკის წრის შორიგი მეცადინეობა — ვიქტორინა. შეექცევალელო დასწრება სავალდებულოა. რაზმის საბჭო“.

ემზარ ცუცქირიძე დამსწრეთა შორის იყო. ყურადღებით უსმენდა მასწავლებლის საუბარს, ამხანაგების დამოსვლებს.

— შემოსულია საინტერესო ამოცანა, — დაიწყო მასწავლებელმა. — დაფქრებისათვის 15 წუთს გაძლევათ. გამარჯვებული მიიღებს ჯილდოს.

— მართლაც, რა საინტერესო ამოცანაა, — ფიქრობდა ემზარი. ბევრი იფიქრა. ბოლოს, როცა მიხვდა, თუ როგორ შეიძლებოდა ამოცანის ამოხსნა, ზევალები სიხარულით აუციმციმდა.

ბადრი ალხაზიშვილმა ამოცანა პირველმა ამოხსნა. მას რამდენიმე წუთით ჩამორჩნენ ალექსანდრე შენგელია, შალვა მოშიამვალი.

საყენის მასწავლებელს ყველაზე უფრო ემზარის შედეგი აინტერესებდა. მის სახარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ემზარ ცუცქირიძემ დაინიშნულ დროზე, ზუსტად ამოხსნა ამოცანა ჩაბარა.

— ყოჩაღ! — უთხრა მასწავლებელმა.

ემზარისათვის ყველაზე დიდი ჯილდო მასწავლებლის შექება იყო.

დაინტერესდა ემზარი არითმეტიკით. ხშირად რჩებოდა დამატებით მეცადინეობებზე. ახლა ნახეთ ენერგიული მეცადინეობის ნაყოფი! მესამე მეთოთხედის ბოლოს მას ყველა საყანთან ერთად არითმეტიკაშიც ოთხიანი აქვს. მაგრამ მას მიღწეული როდი აკმაყოფილებს. ცდილობს ზუთებზე სწავლით გაახაროს დედა-სამშობლო.

და განა მართო ემზარ ცუცქირიძე? ქუთაისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის შეექცე მეთრე კლასში ოცდაჩვიდმეტი სხვადასხვა სასიამის და თვისების ბიჭუნაა. მაგრამ არის საერთო, რითაც ერთმანეთს ჰკვანან — ესაა ბეჯითი, გულმოდგინე სწავლა, პიო-



ნერული დავალებების დროულად შესრულება, საინფორმაციო ცოფაქცევა.

პიონერები რაზმის კედლის გაზეთთან შეგროვილან და ცხარე კამათი გაუმართავთ. აქ შეცდომა არაფერია, — არწმუნებს პიონერებს გაზეთის რედაქტორი ოთარ ქანთარია. მართალია, თქვენი ყველას გსურთ დიმიტრი სულამანიძის მეთოდების ბოლოსათვის არცერთი „ორიანი“ არ ჰქონდეს, მაგრამ შემიძლება არაფერი. ოთარ ქანთარიამ მეორე რგოლის პიონერებს აუხსნა მათი შეცდომა. გამოდიოდნა ისე, რომ ყველა დისციპლინაში, რომელიც დიმიტრი სულამანიძის სუსტი შედეგებია ჰქონდა, საგნის მასწავლებლის გარდა ჰყავდა კიდევ ერთი დამხმარე — ხუთოსანი პიონერთა რიცხვიდან.

რაზმის კედლის გაზეთმა სწორედ ამის წინააღმდეგ იამბოლა ხმა. იგი პიონერებს მოაგონებდა, რომ ხუთოსანი მოსწავლეები უნდა დაეხმარონ მხოლოდ ისეთებს, რომელთაც კარგად სწავლა სურთ და უნარი არ შესწევთ. „ჩვენი სწავლა“ არ ცდება. დიმიტრი სულამანიძე ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ზარმაცობს. თუ დიმიტრი თვითონ შეეცდება, ჩამორჩენას თავს დააღწევს, — დასკვნა დაგზავნიდა. და, მართლაც დიმიტრი იგრძნო დანაშაული.

ხშირად ხდებოდა ასე: ზოგი პიონერი სკოლაში შრომისმოყვარე გეგმობდა. კობახი, სუფთად ჩაცმული დადიდნენ. მაგრამ სახლში არაფრის გაკეთება არ სურდათ, თავისთვის ერთ ღილაკ ვერ დაიკვრებენ.

ერთხელ ამ რაზმის პიონერებს დაევალიათ პირველკლასელებისათვის დაემზადებინათ ნახატებიანი ანბანი. დავით ბაკურაძე, ანზორ ერგემლიძე და სხვები ცივად შეხვდნენ ამ დავალებას, მას წვრილმან, უმნიშვნელო საქმედ თვლიდნენ. რაზმის ხელმძღვანელმა შოთა ჯიშკარიანმა პირველმა მოიტანა შესრულებული სამუშაო. ამის შემდეგ სხვებაც შეუდგნენ საქმეს. ასე შეუყვარდათ მათ შრომა. უნდა გენახათ, რა სიხარულს გრძნობდნენ პიონერები, როდესაც დიდი სტალინის ისტორიული სახლის მკეტი დაამთავრეს. შექდგ აზრად დაეხმარათ სკოლისათვის მასწავლებელსა და მოსწავლეებს. და აი, ყველასათვის გასაკვირად, დეოგრაფიის კაბინეტში მინის ქვეშ ერთ ღღეს „გაიზარა“ ტროპიკული ტყე, „ამონეთია“ ვულკანი...

ძნელად თუ ვინმეს დაეხმარებოდა აზრად რაზმის შეკრება რეინფორსის სადგურის ტელეგრაფში ჩაატაროს. ამ რაზმის პიონერებმა კი ეს გააკეთეს. ალექსანდრე შენგელიამ ერთ ღღეს წინადადება შეიტანა წასულიყვენ ტელეგრაფში, მოლაპარაკებოდნენ, რათა ნება და-

ერთთ გაცნობოდნენ ტელეგრაფის სტრუქტურას, გავარჯიშებულყოფნე მორზეს ანბანში. პიონერებმა დადებითი პასუხი მიიღეს. როცა ტელეგრაფის შესახებ საუბარი მოისმინეს, მორზეს ანბანით დეპეშაც კი გადასცეს მეზობელ სადგურს. მიიღეს პასუხიც: „დეპეშა მიღებულია წრტ სალაში ქუთაისელ პიონერებს“. მათ სხვა რაზმებმაც მიბაძეს. და განა მარტო ამაში!

როდესაც დიდი სტალინის მოღვაწეობას სწავლობდნენ, პიონერებმა დაათვალიერეს ისტორიული ადგილი, რომელიც საყვარელი ბელადის სახელთანაა დაკავშირებული. მშობლიური ქალაქის შესახებ თემატური შეკრების დამთავრების შემდეგ გაეცნენ ინდუსტრიული ქალაქის ახალ მშენებლობებს. სად არ იყვნენ, მაგრამ ყველაზე კარგი მთაბეჭდვით დასტოვა საავტომობილო ქარხანაში.

ხშირად გაიგონებთ: მეექვსე მეორე კლასი ჩვენი საიამყავ. იგი საინფორმაციო სწავლაში, დისციპლინაში, საზოგადოებრივი დავალების შესრულებაში. არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე! ინიციატივა, ყოველდღიური ცოცხალი საქმე, აი რითი გაითქვეს სახელი მეექვსეკლასელებმა. ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის, — ამ რაზმის პიონერების დევიზია.

გამოცდებისათვის მზადების ცხარე დღეებია. სკოლა არაჩვეულებრივად გამოიყურება. ფოიეებს და დერეფნებში გამოფენილია მომწოდებელი პლაკატები. დადგმულია მრავალი სტენდი. მუშაობენ საგნობრივი წრეები, ტარდება კონსულტაციები, თემატიკური შეკრება — ვიქტორიები.

...პიონერთა ოთახში სრული სიწყინარეა. მაგიდასთან ზის თამაზ მისურაძე. იგი ყურადღებით ფურცლავს სახელმძღვანელოს, ათვალიერებს საგამოცდო ბილეთებს, დამატებით ლიტერატურას. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ეკატერინე მღებრავა შემოდის. იგი თამაზის გვერდით ჯდება და კარნახობს. რა ბედნიერად გრძნობდა თავს თამაზი, როცა მას მხოლოდ ორი შეცდომა აღმოაჩნდა!

სკოლის დირექტორს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო ბურჭულაძე ესაუბრება. თვითვე კლასში დამთავრებულია გამეორება — ამბობს იგი. ყველას ესამოვნა რომ ყველაზე უკეთ ამ საგანში მეექვსეკლასელები მოემზადნენ...

მეექვსეკლასელები მზად არიან გამოცდებისათვის. ისინი პირობას იძლევიან რომ ყველა გამოცდას „ოთხებზე“ და „ხუთებზე“ ჩააბარებენ. დარწმუნებული არიან თავიანთ ცოდნაში. აი, რატომ აქვთ ახლა მათ ასეთი მხნე განწყობილება.

ასპინძის ომი

ქართველი ხალხს გვირგვინ ბრძოლების ისტორიაში ასპინძის ომს ერთერთი საპატიო ადგილი უჭირავს, ეს ომი 1770 წელს აპრილის თვეში მოხდა თურქ მოხალაღეთა წინააღმდეგ.

ქართველ ხალხს მრავალი მტრის შემოსევა ახსოვს. ვის არ უნდადა ჩვენი მიწა-წყლის შიტაცება-აოხრება: რომაელებსა თუ არაბებს, მონღოლებსა თუ სპარსელებს, მაგრამ ყველა ამან შორის თურქებმა უფრო საძულველი სახელი დაიმსახურეს.

თურქებმა ჩვენს ქვეყანაში დაპყრობითი შემოსევები გახშირეს მე-16 საუკუნიდან. მათ სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიპყრეს. სამხრეთ საქართველო, რომელიც მთელი საქართველოს ერთ მე-სამედს შეიცავდა, ძველთაგანვე ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ამ მხარეში დაირჩა ქართული კულტურის აკვანი. აქ იყო მრავალი მატერიალური კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ძეგლი: ხახული, ბანა, ხანძთა, ოშკი, ოპიზა და მრავალი სხე. ეს მხარე იყო სამშობლო გრიგოლ ხანძთელისა, გიორგი მთაწმინდელისა, შოთა რუსთაველისა, ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა. თურქებმა ეს მხარე ძალით მიიტაცეს და იწყეს მოსახლეობის გაათრება. ეკლესია-მონასტრებს ან ანგრევდნენ და ან მიწვითებდნენ (მაჰმადიანურ სამლოცველოებად) აკეთებდნენ.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი ბრძოლას უმართავდა თურქ დამპყრობლებს და იცავდა ქართულ ენას, ადათ-ჩვევებს. ქართველები არაოდეს არ შეირიგებინათ თავისი ძველთაძეგლი მიწა-წყლის — სამხრეთ საქართველოს დაკარგვის ფაქტს.

1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ეს ომი 1774 წლამდე გაგრძელდა. რუსეთმა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს სამხედრო კავშირი შესთავაზა და თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. ერეკლემ მდგომარეობა სათანადოდ შეაფასა. მისი აზრით ამომენტრა დროული იყო. თუ ამ ომში თურქები დამარცხდებოდნენ, მაშინ ერეკლე ისარგებლებდა და სამხრეთ საქართველოს ანუ, როგორც ამ მხარეს მაშინ უწოდებდნენ სამცხესათაბაგოს გაათავისუფლებდა.

1769 წელს რუსთა ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით დარიალის გზით საქართველოში ჩამოვიდა. 1770 წლის 17 მარტს ერეკლემ და ტოტლებენმა სურამში თათბირი გამართეს თურქებზე, ლაშქრობის ორგანიზაციის შესახებ. ამ თათბირის იმერეთის მეფის სოლომონ ბირველს წარმოამადგინლენ იოსებ კათალიკოსი და თავადი აბულაძე, ესწრებოდნენ. თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება ახალციხის საფაშოზე ლაშქრობის შესახებ. ქართველთა და რუსთა შეერთებული ლაშქარი ბორჯომის გზით დაესმინა თავს

თურქთაგან გამაგრებულ ციხე-სიმაგრეებს. ვარძიდან მოყოლებული თმოგვი, ხერთვისი, ასპინძა, ახალციხე, აწყურთი, ბორჯომი, ახალდაბა, სურამი, გორი ერთიან სამხედრო მნიშვნელობის სტრატეგიულ ხაზს ჰქმნიდა; დასახლებული ციხე-სიმაგრეები ვის ხელშიც იქნებოდა, მას ეკუთვნოდა იმ მხარის ბატონობაც, რადგან, მაშინ ციხის აღება ნიშნავდა მოცემულ მხარის დაპყრობას.

1770 წლის აპრილში ქართველები და რუსები აწყურის ციხისაკენ გაემგზავრნენ. ეს ციხე ახალციხის აღმოსავლეთით მდებარეობს, მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აწყურის ციხის აღებას გარეშე ახალციხის ფაშის დამარცხება შეუძლებელი იყო. აწყურზე სალაშქროდ ქართველები მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირით გაემგზავრნენ, ხოლო რუსები — მარჯვენა ნაპირით.

დათქმული იყო, რომ ორივე მხარე აწყურთან შეიყრებოდა და შეერთებული ძალით შეუტევდნენ მტერს. მაგრამ ტოტლებენმა უღალატა ელკასს. 6 ზარბაზანი (მას სულ თორმეტი ზარბაზანი ჰქონდა) და 400-მდე ჯარისკაცი ტოტლებენმა სოფელ სადგერში დატოვა და მცირე ამალით განავრძო გზა. 17 აპრილი აწყურს მიადგნენ. ერეკლემ საბრძოლო მოქმედების თავისი გეგმა გააცნო ტოტლებენს. ერეკლეს აზრით, სანამ აწყურის ციხეს შეუტევდნენ, საჭირო იყო ჯერ მახლობელი სოფლები დაეკავებინათ, სურსათით მოემარაგებინათ ჯარი, აწყურ-ახალციხის გზებში მოეშალათ და შემდეგ აეღოთ აწყურის ციხე. აქაც ტოტლებენმა სრული უფიქრობა გამოიჩინა, ერეკლეს არ დაუჯერა, ქედმაღლმა გენერალმა დაიტრახა: დღესვე წაერთმევე თურქებს აწყურს და ხვალ ახალციხეს შეუტევეო. ტრაბახა გენერალი მარჯუნიდა. აწყურს გერაფერი დააკლო და სირცხვილული სასწრაფოდ ქართლისაკენ დაიძრა, ერეკლე და ქართველები მტრის თვალწინ მიატოვა.

თუმცა ერეკლესა და ქართველებში ტოტლებენის საქციელმა აღმოთთება გამოიწვია, მაგრამ მრავალ ომგადახდილი ერეკლე არ დაიბნა, თავისიანებს მოაგონა ვალდებულება, გაარკვია შექმნილ ვითარებაში და გაამხნევა.

ტოტლებენის წასვლა მტრის შეუმჩნეველი არ დარჩა. მეციხოვნე თურქები თვითონ გადავიდნენ იერიშზე ერეკლეს წინააღმდეგ, თვით ახალციხის ფაშა ნამინი დამხმარე ჯარს უგზავნის აწყურის მეციხოვნეებს. ამ დამხმარე ჯარში 2.000 კაცი იყო.

ერეკლემ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, იგი გაეცალა აწყურს და მახლობელ სოფლებში სურსათ-სანოვავის შოვნას შეუდგა. ლეკ-ოსმალები მუდმივ თავდასხმებს აწარმოებდნენ ქართველებზე. თურქ-ლეკთა ლაშქარი შედგებოდა ე. წ. „ღელბაშებისაგან“ (თავზეხელადე-

ბულები). ერთ-ერთ ბრძოლაში ერეკლემ ეს დელიბაშთა რაზმები დაამარცხა და, როგორც ერეკლეს მიერ რუსეთში გაგზავნილი თურქი ტყვეების ცნობებიდან ჩანს, 600-მდე კაცი ამოუღოტა.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელებს თავი ხეცსურება და კახელმა ლუარსაბ ფაჩნაძემ. აწყურის ბრძოლის შემდეგ ერეკლემ გადაწყვიტა უკან დაბრუნება, მაგრამ ბორჯომის გზით უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. მოსალოდნელი იყო, რომ მტერი უკან დაედევნებოდა და ვიწროებში დიდ ზიანს მიაყენებდა. ამიტომ ერეკლე ასპინძა-ახალქალაქ-თრიალეთ-მანგლისის გზით ბრუნდებოდა უკან. გზად ერეკლეს ასპინძასთან 8000-დე ლეკოსმალო შემოეყარა. ლეკოსმალებს გადაეწყვიტათ ქართველთა სრული მოსპობა. ერეკლემ ისინი სასტიკად დაამარცხა და 500 კაცი მოუკლა. ამ ბრძოლაში ქართველებმა ოთხი თავადი და ათი რიგითი მეომარი დაკარგეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ახალციხის ფაშამ 4.000-დე ლეკოსმალო ჯარი შემოუსია ერეკლეს.

ერეკლემ მტრის ეს თავდასხმაც დაამარცხა. მან თავისი ჯარები სამ ნაწილად გაყო. მარცხენა ნაწილი თავის შვილს — გიორგის ჩააბარა, მარჯვენა ნაწილი თავის სიძეს დავით ორბელიანს მისცა, ხოლო ცენტრს თვითონ ხელმძღვანელობდა. ამავე დროს ერეკლემ ქსნის ერისთავს, მუხრანბატონსა და ხუდია ბორჩალოელს დაავალა ასპინძის ხიდის მოშლა. 20 აპრილს დილით დაიწყო სასტიკი ომი. მტრის ჯარი

რიცხოობრივად სჭარბობდა. ბრძოლის ბედი ქართველთა გმირობამ გადასწყვიტა. მტრის ერთ-ერთ რაზმს ბრძოლებში განთქმული დაღესტნელი კონტა ბელაღი ხელმძღვანელობდა. კონტა თვით ერეკლემ მოკლა.

ამის შემდეგ მტრის საბრძოლო წყობა მოიშალა. ლეკოსმალები ცხვრებივით აირივნენ ერთმანეთში და თავსაშველად ხიდს მიაშურეს. ხიდი აღარ იყო, თავზარდაცემული ბრბო წყალს ეცა. მტკვარი აღიდებულიყო და ვინც ქართველთა ხმალს ვაღდურჩა, ის მტკვარმა შთანთქა... ამ ბრძოლის შესახებ თვით ერეკლე რუსეთს ატყობინებდა: „...ხიდი უწინ წაუნდინეთ, ომი მოგვიხდა ურთიერთ მიმართ ძლიერი და ფიცხელი; მცირეს დროს ისინიც იძლევედნენ და მისი-წრაფეს მსასოებელთა ხიდისათა ხიდისამიმართ, და ხიდი წამხდარი დაუხვდათ, და ესდევნიდით რა, მისი-წრაფეს მდინარედ, რომელს არს მტკვარი, და ესრეთ ამოსწყუნენ ხმლით და მოიშთენენ წყლით, რომელ თვით თვალთა ჩვენთა ვხედავდით ოცნი, გინა ოცდახუთნი და განერნენ“.


ამ ბრძოლაში ქართველებმა ხელთ იგდეს 57 ლეკოსმალო, 25 დროშა, მრავალი საომარი იარაღი. ქართველთა დანაკლისი 25 კაცი იყო.

ასე დასრულდა ასპინძის ომი, რომელიც ქართველი ხალხის ვაჟკაცობის თავისებური ტრიუმფი იყო. ამ ბრძოლის გამარჯვებისათვის ქართველმა ხალხმა ერეკლეს ასპინძის გმირი უწოდა.





ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე ზ ლ ვ ა უ რ ი ს ჩ ა ნ ე ნ ე რ ე ბ ი



რ ე ღ ა მ ც ი ი ს ა ბ ა ნ

შორეული ცურვის კაპიტანს ვახტანგ ბარათაშვილს მოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი მხარე. აი მის მიერ გავლილი მარშრუტები: 1. ლენინგრადი-ოდესა, — კილის არხის გავლით ევროპის გარშემო. 2. ლენინგრადი-ვლადივოსტოკი, — სუეცის არხი, ინდოეთის ოკეანე, ყვითელი ზღვის და ჩინეთის ზღვის გავლით. 3. ვლადივოსტოკი-მურმანსკი, — სკანდინავიის ნახევარკუნძულის შემოვლით. 4. ლენინგრადი-ვლადივოსტოკი, — პანამის არხი, — პეაიის კუნძულების გავლით. 5. ლენინგრადი-მურმანსკი-ვლადივოსტოკი, — ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის გავლით.

ამ მოგზაურობათა შესახებ ვ. ბარათაშვილმა დაწერა წიგნი „საბჭოთა მეზღვაურის ჩანაწერები“. წიგნი გადმოცემულია, როგორც კოლონიური ქვეყნების, ისე ამერიკისა და ინგლისის მშრომლების უუფლებობა, უმწერო მდგომარეობა. ნაჩვენებია მძიმე მდგომარეობა მშრომელთა ბავშვებისა, რომლებსაც არ აქვთ სწავლის საშუალება და მცირე ასაკიდანვე იძულებულნი არიან დიდი გაპირვებით მოიპოვონ ლუკმა-პური.

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ ნაწყვეტს მისი წიგნიდან, რომელსაც ბეჭდავს „საბლიტგამი“.



პახანუ ბარათაშვილი

მხატვარი შ. ცხადაძე

მ ქ ვ ს ი ღ ე მ კ უ ნ ძ უ ლ ც ე ი ღ ო ნ შ ე

სექტემბრის დილას პორიზონტზე გამოჩნდა კუნძული ცეილონის მთის მწვერვალები. სადილობის უამს ჩვენ უკვე ცეილონს მივუახლოვდით და კოლომბოს ნავსადგურში ჩავუშვით ლუწა. კოლომბო ცეილონის მთავარი ქალაქი და ნავსადგურია. მოსახლეობა—სამასი ათასი.

ცეილონი თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით და ინდოეთის ოკეანეში ნაოსნობის მთავარ გზაზე თავისი მდებარეობით, ყოველთვის იპყრობდა ევროპელ ვაჭრებისა და კოლონიზატორების განსაკუთრებულ ყურადღებას. უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე აქ ერთმანეთს ეჯახებოდა მრავალი ქვეყნის ინტერესები. პირველი ევროპელი, რომელიც ცეილონს ეწვია, იყო ცნობილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (XIII ს.). XV საუკუნის დასაწყისში ცეი-

ლონს პორტუგალიელები დაეპატრონენ. შემდეგ, XVII საუკუნის პირველ ნახევარში კუნძული ჰოლანდიელებმა დაიპყრეს, ხოლო 1796 წელს ინგლისელებმა განდევნეს ჰოლანდიელები და 1802 წლიდან კუნძული ინგლისის კოლონიად გამოაცხადეს. სინგაპურში და ინდოელები, ცეილონის მკვიდრი მოსახლეობა, ამაოდ ცდილობდნენ დაეცვათ დამოუკიდებლობა და თავისუფლება. თავისი პირველყოფილი საომარი ტექნიკით ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული იმპერიალისტების წინაშე. ცეილონი დღესაც ინგლისის ერთერთი უდიდესი და უმდიდრესი კოლონიაა¹, ცნობილი თავისი კაუჩუკის

¹ 1948 წლიდან წარმოადგენს დომინიონს.

კლანტაციებით, ჩიით, ტროიკული ტექნიკური კულ-
ტურებით და სხვადასხვა მადნეულით.

ხუთი საბჭოთა გემის მისვლის ამბავი ელვასავით
მოედო მთელ ქალაქს. ჩვენ, როგორც უცხო, სტუმრებ-
ში, ყურადღების ცენტრში ვიყავით. ქალაქში სიარუ-
ლის დროს ჩვენს მეწვადურებს დიდძალი ხალხი დას-
დევდა უკან.

კოლომბო თავისი მდებარეობით ლამაზი ქალაქია.
კობხად გამოიყურება იგი ამწვანებულ მთების კალ-
თებზე. მაგრამ საკმარისია გაეცნო მის ქიორვარამს, რომ
ნათლად წარმოგიდგეს კოლონიური ცხოვრების მთე-
ლი საშინელება; ისევე, როგორც ალირში, როგორც
პორტ-საიდაში, ადენში, აქაც უამრავია მათხოვარი,
გაძვალტყავებულთა და გაპირებისაგან ცოცხალ ლან-
დებლად ქცეულთა რიცხვი. ათასობით მშვიერი გვგვდებო-
და და ხელგამოწვდილი ითხოვდა მოწყალებას. გან-
საკუთრებით საცოდავად გამოიყურებოდნენ ბავშვე-
ბი, რომლებმაც არც იციან რა არის ნამდვილი ბავ-
შვობა, რა არის ბავშვებზე ზრუნვა, რა არის ბავშვე-
ბისადმი სიყვარული. უპატრონოდ, უსახლკაროდ და-
ხეტიალებენ ისინი და მათთვის ხელმისაწვდომელია ის
უამრავი დოვლათი, რომელიც ყოველდღიურად გა-
აქვთ ცეილონიდან იმპერიალისტ მტაცებელთა
ჯიბის გასასქელებლად. ყოველ ქუჩაში დანახავთ
შეკრებილ უსაქმო ხალხს, რომელიც რაღაცას ელის.
რას? ხვალაც ხომ ისეთივე მშვიტი და უიმედო დღე
გათენდება მათთვის...

უმბრალო ადამიანის უფლებები აქ კოლონიზატორ-
თა ფეხქვეშ არის გათელილი. ინგლისელი დამპყრობ-
ნი, მათი ჯარისკაცები, უმოწყალოდ ჩაგრავენ და
ავიწროებენ მშრომელ ხალხს. ერთ ქუჩაზე ჩვენ სა-
ზოგადო სურათის მოწმენი შევიქენით: ქვაფენილზე
რამდენიმე ინდოელი იჯდა და დუდუკის ხმაზე მო-
შინაურებულ გველებს ათამაშებდა. გველებს გაწე-
რთნა, მათი თამაში, აქ ჩვეულებრივი სანახაბო და
ლუკმა პურის მოპოების საშუალებაა. ადგილობრივი
მცხოვრებნი სრულიად გულგრილად ჩაუვლიან
ვერდს ასეთ სანახაბობას. მათთვის ეს ნაცნობი და


ჩვეულებრივი ამბავია, რისთვისაც მათი აზრით შეჩე-
რებაც არ ღირს. მხოლოდ უცხოელები, ან გზად მი-
მავალი მეწვადურები თუ დანტერებსდებიან ამ უცხო
სანახაბობით და რამდენიმე გროსს გაიმეტებენ მათ-
თვის.

ბუნებრივია, რომ ჩვენი ყურადღებაც მიიპყრო
გველების თამაშმა. ვუცქეროდით და გვეკვირდა, რო-
გორ დაიმორჩილა ადამიანმა ეს საზარელი, შხამიანი
ცხოველი და დუდუკის პანგზე როგორ აცეკვებდა.
ჩვენ ფული ვაჩუქეთ მწვრთნელებს და უკვე წასე-
ლას ვაპირებდით, როცა ინდოელებს თხიხ ამერიკე-
ლი მატროსი მიუახლოვდა. ისინი მოვრალეები იყე-
ნენ. ერთმა მათგანმა ფეხი ჰკრა კალათს, რომელში-
აც გველი იყო და შუა ქუჩაში გადაისროლა. მეო-
რემ ერთ-ერთ მწვრთნელს საკრავს გამოსტაცა და შე-
ეცადა დაეკრა. როცა დუდუკი ვერ დაიმორჩილა —
მიწაზე დაახეთქა და დაამტვრია. დანარჩენები ქვაფე-
ნილზე გაწოლილ გველს მისცვიდნენ და ფეხებით
დაუწყეს თელვა. ინდოელები უხმოდ აწმუნდნენ და
გაიპარნენ, რომ ცემა-ტყეპისაგან ეხსნათ თავი. ამ
საზოგადო სურათს აგვირგვინებდა ამერიკელთა ლან-
ძღვა-ვინება და უშნი ხარხარი.

მეორე ამის მსგავს შემთხვევას ნავსადგურთან წა-
ვაწყდით. ბავშვიან ქალთან, რომელსაც ხელში ყურ-
მნით სახსე კალაი ეჭირა, ორი ინგლისელი ჯარის-
კაცი მივიდა. ჯერ ლაპარაკი დაუწყეს, შემდეგ მი-
ვარდნენ, კალათა გამოვიკვდეს ხელიდან და ბავშვს
წამოაცვეს თავზე. ბავშვმა დრიალი მორთო, ყურძე-
ნი დაიბნა, ქალმა გაქცევა ამჯობინა. ჯარისკაცები
კი თითქოს აქ არაფერიათ, შეუდგნენ ყურძნის მი-
წიდან აკრეფას და ქამას. მათ სახსე ისეთი ემაყო-
ფილება იყო გამოხატული, თითქოს მეტად სასიხა-
რულო საქმე გაეკეთებინათ...

დაბინდდა. ჩვენ გემებისაკენ ვიბრუნეთ პირი, სა-
დაც ვაწმამი და სუთთა ლოკინებში მოსვენება გვე-
ლოდა. რა ბედნიერია საბჭოთა ადამიანი ჩვენი დე-
დები, მამები, ცოლ-შვილი, ნათესავები, ყველანი
შრომისა და დასვენების უფლებით სარგებლობენ.

მათთვის წარმოუდგენელია უმუ-
შევრობა, ცის ქვეშ გდება უსახლ-
კაროდ, შიმშილი. მათ რომ შეეძ-
ლოთ ჩვენსავით კოლომბოს სანა-
პიროზე და ხეივნებში გასეირნება,
ისინი დანახავდნენ ჩვენი ქალაქე-
ბისათვის უჩვეულო სურათს: ათო-
ბით და ათასობით ადამიანებს, რო-
მელთა ბინა იქაა, სადაც დაულამდე-
ბათ. სანაპიროზე, ხეივნებში, ღია
ცის ქვეშ უამრავ უსახლკარო ხალხს
ეძინა. ჯგუფ-ჯგუფად, ძონძებით
დაფარულნი, იწვნენ ქვეყნის ბურ-
ჯნი, რომელთათვისაც მათსავე
სამშობლოში წაურომევიათ ადამი-
ანის ყოველგვარი უფლებები. ზო-
გი გულადმა იწვა გულზე ხელბე-
დაკრფილი და ძნელი იყო გამოც-
ნობა, მკვდრები იყვნენ ისინი თუ
ცოცხლები, ზოგსაც ძონძებიდან გამ-



ინდოელთა ცეკვა

ვალტყავებული ხელ-ფეხი ჰქონდა გამოშვებული, ზოგიც რუმბივით ეგვო უშიშროისაგან დასიებული. ამ სურათის ხილვამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და კიდევ უფრო მეტად ვიგრძენით დაღლილობა, უფრო სულთერი, ვიდრე ფიზიკური.

გემზე დაბრუნებისას გვიამბეს ახალი ამბავი. ჩვენს კომკავშირლებს სამი მშვიდი ბავშვი შეხვედრიათ, შეცოდებით, გემზე წამოუყვანიათ და გამასპინძლებიან. მწარეული გვიამბობდა, თუ როგორ ხარბად შექცობდნენ საცოდავები საქმელს.

— ხვალაც მოვყვანო; ხანამ აქ ვიქნებით მოვლენ ხოლმე, ამხანაგო კაპიტანო.

— ხვალ მათ სადღა იპოვით?
— ჩვენ ვუჩვენეთ მათ ჩვენი ნავი, ვანიშნეთ სად ვიდგებით დილით. ისინიც იქ მივლენ...

მართლაც, მეორე დღეს დილით ისინი გემზე ვიხილეთ. უფროსი ვაჟი 9 წლისა თუ იქნებოდა. საბარალოები ობლები ყოფილან, უპატრონონი, უსახლკარონი, ნავსადგურის რომელიღაც ზღრეღში ცხოვრობდნენ. ისინი ჩვენი ყოველდღიური სტუმრები გახდნენ. ჩვენი ახალგაზრდობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მათდამი. კოლომბოდან გამგზავრებისას მეზღვაურებმა უხვად დაასაჩუქრეს საცოდავი ბაღლები.

კოლომბოში იძულებით დგომის დღეები — (ფულს ველოდით) გამოვიყენეთ ქალაქის, მისი მიდამოების, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების დასათვალიერებლად. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ისტორიულმა ძეგლებმა, ჭვეყნის მატერიალური კულტურის ნივთებმა. შესანიშნავი თეთრი მარმარილოსაგან აგებული ტაძარი მაღალი არქიტექტურული კულტურის მაჩვენებელია. მუზეუმში ნახულმა ძეგლმა იარაღმა, მეომრების ტანსაცმელმა, საყოფაცხოვრებო ნივთებმა მესხიერებაში აღადგინეს ინდოეთის ბრწყინვალე წარსული. უცქერია ამ ნაშთებს და გიკვირს, როგორ მოხდა, რომ დაქუცმაცდა და კოლონიურ ყოფაში მოექცა ეს ოდესლაც ძლიერი და ბრწყინვალე სახელმწიფო. მაგრამ გჯერა, არც ისე შორსაა ის დრო, როცა დაიხსნებოდა მონობის უღელი და იმპერიალისტური „ცივილიზაციის“ ნანგრევებზე კოლონიური ხალხები თავისუფლებისა და დემოკრატიის გამარჯვებას იზეიმებენ.

ჯერ კიდევ ჭვეყნის მთელი ავღალიდებმა ან უცხოელი კოლონიზატორების ხელშია, ან ადგილობრივ მემამულეთა საკუთრებას შეადგენს. მემამულე არის ხალხის შინაური მტერი, რომელიც თავისი ხალხის სისხლითა და ოფლით თავის ჯიბესაც ისქელლებს და უცხოელ დამპყრობთა მზარდ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. საშინელ და მახობრივ სიღატაკის გვერდით მდიდურად გამოიყურებიან მემამულეთა და თავდაზნაურთა სახსლები, ზიზღს იწვევს მათი ფუფუნება და მუქთახორული ცხოვრება.


სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურაა — ჩაი. ჩაის პლანტაციებს უკვირა კუნძულის უდიდესი ნაწილი. აქ მონურ შრომას იყენებენ. სკოლის ასაკის ბავშვებაც დედებთან ერთად ოფლს ღვრიან დილიდან საღამომდე.

ინგლისელებს რომ ჰკითხოთ:
— რატომ ბავშვები სკოლაში არ არიან? — გიპასუხებენ:

— „სკოლა? განა პლანტაციან მუშაობას დიდ დანათლება უნდა. ჩვენ აქ იაფი მუშახელი გვჭირდება“. ცილონი დაჯილდოებულია ჰავით, ბუნებით, მიწის მაღალი ნაყოფიერებით, მიწა რომ მიწის მუშას ეკუთვნოდეს, იქ არც ღარიბი იქნებოდა და არც მშვიდი. მაგრამ სახალხო დოვლათის მხოლოდ სულ მცირე ნაწილი თუ ხმარდება მშრომელთა საქიროების დაკმაყოფილებას. მუშაობა სოფლის მეურნეობაში პირველყოფილი იარაღით წარმოებს, მექანიზაციის გარეშე. მონური შრომა, იაფი მუშახელი, როზგისა და მათრახის სისტემა ვერც შეიგუება სოფლის მეურნეობის მაღალ კულტურას.

კოლომბოდან 120 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ქ. კენდი, ცილონის უძველესი ქალაქი, სადაც წინათ სინგალებების მეფეთა სასახლე იყო. ჩვენი ეკიპაჟის ერთმა ჯგუფმა დაათვალიერა კენდი და გზადაგზა გაეცნო ცილონის სოფლის მეურნეობას, მკვიდრ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას, მათ ადათებს და მატერიალურ-კულტურულ პირობებს.

კენდი მაღალი მთის ძირშია განლაგებული. ქალაქში შეტვლისას უცნაურად გამოიყობილი ხალხი შეგვხვდა. სახით, ტანადობით ისინი ინდოელები და სინ-



გაღებები იყვნენ. მათ ტან-
საცმელებს შუადგენდა მოკ-
ლე თეთრი მუნღირები და
მოკლე შარავლები. თავზე
წითელი ჩანი ეხურათ,
ფეხებზე შავი წინდები
და წულები, ხელთ ეხურათ
საჩრდილობელი ქოლგები.
როგორც აღმოგვცეს, ისინი
იყვნენ ადგილობრივი
პოლიციელები, ინგლისელ
კოლონიზატორთა და ად-
გილობრივ მემამულეთა
ნებასურვილის ამსრულე-
ბელნი.

ინდოელები ლამაზი, ტა-
ნალი ხალხია, განსაკუთრე-
ბით ქალები. ქალები გულ-
ზე სამკაულებს ატარებენ,
— ვერცხლის ფულისა და
ბრჭყვიალა ქვების მძიმეებს.



ინდოელები გაწვრთნილ გველებს ათამაშებენ

ბევრ მათგანს შუბლზე წაუშლილი მელნით დახატუ-
ლი სხვადასხვა ნიშანი აქვს გაკეთებული.

ჩვენ დავესწარიტ დღესასწაულს. ზეიმში მონაწი-
ლეობას იღებდნენ მორთული სპილოები, უცნაურ ტან-
საცმელში გამოწყობილი და სამკაულებით შემოსილი
კაცები და ქალები. კენდის თეატრში დავესწარიტ ად-
გილობრივი ძალებით გამართულ კონცერტს. მოგვე-
წონა მათი სიმღერები, ცეკვები.

კინო-თეატრში უჩვენებდნენ ინდური კინო-ფაბრი-
კის გამოშვებულ სურათს. სურათმა საერთოდ კარგი
შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან მასში ხალხი იყო
გამოყვანილი, თავის ქირ-ვარამით, თავისი ნაციონა-
ლური სულიცხვეთებით.

კოლონიურ ქვეყნებში დღითიდღე უფრო მძლავრად
ვითარდება იმპერიალისტური მონობისაგან განთავი-
სუფლებისათვის ბრძოლა. სწორია გაფიცვები, მშრო-
მელთა შეიარაღებული გამოსვლები მტარვალთა წინა-
აღმდეგ. ერთი ასეთი გაფიცვის შოწმენი ჩვენც გავხ-
დით კოლომბოში და სწორედ გაფიცვა იყო მიზეზი,
რომ წ დღე დავყავით ცეილონში და უშუალოდ გავე-
ცანიტ კოლონიურ ცხოვრებას.

კოლომბოში ჩვენე ყოფნის დროს მოხდა ქალაქის
მუშა-მოსამსახურეთა დიდი გაფიცვა. ისინი ხელფა-
სის მომატებას მოითხოვდნენ. გაფიცვაში ბანკის მო-
ხელეებიც ლებულობდნენ მონაწილეობას. რამდენიმე
დღით შეწყდა ყოველი საბანკო ოპერაცია და ჩვენ
ვერ მოვახერხებთ მიგვეღო ფული, რომელიც კოლომ-
ბოს ბანკის მისამართით იყო გადმოგზავნილი.

საზღვაო აგენტი ამოდ ცდილობდა დაეჩქარებინა
საქმე. იგი ჯერ ნამდვილ მიზეზს გვიმალავდა, შემდეგ
კი როცა საქმე გაჭანურდა, იძულებული შეიქნა სი-
ნამდვილე აღვარებინა.

მეხსიერებაში ჩამრჩა ერთი ინდოელი ქაბუკი, რო-

მელმაც ჩვენს დანახვაზე ჯერ ინგლისურად მოგვცა
სალამი, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ ჩვენ საბჭოთა მეზ-
ღვაურები ვიყავით და სალამი ინდურ ენაზე გაიმეო-
რა. მის სახეზე აღტაცება იხატებოდა, რომ თავისი
თვალიტ იხილა საბჭოთა მეზღვაურები, ადამიანები იმ
დღიად ქვეყნიდან, რომელიც აზიის ქვეყნების მოწინა-
ვე ახალგაზრდობის სასოებას და იმედს წარმოადგენს.

— თუ გნებავთ, წამობრძანდით, — მითხრა აგენტ-
მა, — დარწმუნდებით, რომ ბანკი არ მუშაობს.
ჩვენ დავაინტერესა ამ ამბავმა და გავყვიტით. ბანკი
მოთავსებული იყო დიდ შენობაში. შესავალიტონ, ბან-
კის გარშემო გაფიცულები იდგნენ. ისინი დარაჯობდ-
ნენ, რომ არავინ შესულიყო შენობაში. სახლის წინ
ქუჩაზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. იქვე იდგნენ
პოლიციელები რეზინის ჯოხებით ხელში, ცდილობდ-
ნენ წესრიგი დაემყარებინათ.

რითი დამთავრდა ეს გაფიცვა ჩვენ არ ვიციტ. ის
კი ფაქტია, რომ წ დღე ვუცდილიტ ფულის მიღებას.
ამ ხნის განმავლობაში ჩვენ სწორად მოგვმართავდნენ
შეკითხვებით საბჭოთა ქვეყანაში მშრომელთა მდგო-
მარეობის შესახებ, სხვადასხვა ეროვნებატა ცხოვრე-
ბის შესახებ.

ერთ-ერთი ინდოელი მეზღვაური შემიკეთბა:
— თქვენ რა ეროვნებას ეკუთვნიტ?
როგორც კი ვუთხარი, რომ ქართველი ვარ, თვალე-
ბი გაუბრწყინდა:

— თქვენ სტალინის თანამემამულე ხართ! სტალინი
დიდია, სტალინი ბრძენია! ჩვენში ბევრგან ნახავთ
ლენინისა და სტალინის სურათებს.

მას აინტერესებდა სხვადასხვა ეროვნებატა ცხოვ-
რება საბჭოთა კავშირში: აღტაცებით ისმენდა იგი
ამბავს ჩვენი აყვავებული რესპუბლიკის შესახებ,
ხალხტა სტალინური მეგობრობისა და ეროვნებატა
თანასწორუფლებიანობის შესახებ.



ოქროს კუნძული

ჩინური ხალხური ზღაპარი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი გლეხი უ დე-
ჯი, როდესაც თევზის დრო დადგა, გლეხი მდიდარ
მეზობელთან მივიდა და სთხოვა: ცოტაოდენი სათეს-
ლე მარცვალი მასესხეო.

უღაბნოში წყლის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე
მდიდრისაგან მოწყალების მიღება.

მდიდარმა მოისმინა უ დე-ჯის თხოვნა და უთხრა:

— ხვალ მოდი, მოგცემ ერთ ქოთან ფეტვს, სამაგი-
ეროდ შემოდგომაზე ორი ქოთანი საუკეთესო მარც-
ვალი უნდა დამიბრუნე.

ღარიბმა თავი მდაბლად დაუქრა და თავის ქონში
წავიდა.

ამასობაში მდიდარმა ცოლს უბრძანა მოეხარშა ერ-
თი ქოთანი აშმორებული ფეტვი და ზედ ერთად ერ-
თი მოუხარშავი მარცვალი დაედო.

ღარიბმა მდიდრისაგან მეორე დღეს მიიღო ერთი
ქოთანი ფეტვი და დათესა ეს უვარგისი თესლი. რა-
საკვირველია არაფერი არ ამოვიდა. მხოლოდ ერთმა
მოუხარშავმა მარცვალმა გაიხარა.

მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე უფელიდა უ დე-
ჯი ფეტვის ერთ ღეროს. წყალს უსხავდა, უთოხნიდა,
იფარავდა ქარისა და სეტყვისაგან და ბოლოს ღარი-
ბის გასახარად ღერომ თავთავი გაიკეთა.

დადგა მკის დრო. მივიდა გლეხი და რას ხედავს:
მისი ფეტვის ღერო მოტეხილია და რაღაც დიდი ფრინ-
ველი თავთავიდან მარცვალს კენკავს. ატირდა
უ დე-ჯი.

— არა გრცხვენია, ღარიბს უაქნასკნელ თავთავს
რომ ართმევ!

ჩიტმა მიუგო:

— ნუ სწუხარ! ვალში არ დაგჩრები. შემაჯექი და
ხელი მაგრად ჩამკიდე!

უ დე-ჯი ჩიტს შეაჯდა და ხელები კისერზე მაგრად
შემოხვია.

ჩიტი აფრინდა და დასავლეთისაკენ გასწია.

ისინი დიდხანს მიფრინავდნენ, ვიდრე უ დე-ჯიმ
დაბლა უსასრულო ოკეანე არ დაინახა. ოკეანის შუა-
გულში მოსჩანდა ქვიშიანი კუნძული. ჩიტი სწორედ
იქითკენ გაემართა.

თანდათან უახლოვდებოდა უ დე-ჯი კუნძულს. ბო-
ლოს ჩიტმა დაბლა დაშვება იწყო და ღარიბის ფეხი
მიწას შეეხო. მიმოიხედა უ დე-ჯიმ და თვალეებს არ
დაუჯერა. კუნძულის მთელი ნაპირი ოქროს ქვიშით
იყო დაფარული.

— აი,—უთხრა ჩიტმა,—მთელი ეს ოქრო შენია. აი-
ლე რამდენიც გინდა!

ღარიბმა თავი მდაბლად დაუქრა და უთხრა:

— გმადლობ, კეთილშობილო ჩიტო. არასოდეს და-
ვივიწყებ ამ სიკეთეს!—და დაიწყო ჯიბეების ავსება
ოქროს ქვიშით. როცა ჯიბეები გაივსო უ დე-ჯიმ
ჩიტს სთხოვა მშობლიურ ქვეყანაში წაეყვანა.

ჩიტმა განუცხადა:

— რა ცოტა ყოფილა შენთვის საკმარისი. გახსოვ-
დეს: მეორედ შენ აქ არასოდეს მოხვდები!

— მე ესეც მიყოფა.—მიუგო უ დე-ჯიმ, — ახლა
იმდენი ოქრო მაქვს, რომ შემიძლია ჩვენი სოფლის
უკვლა ღარიბს ვაუწყაწვილო.

— ნება შენია! — უთხრა ჩიტმა. — შემაჯექი და
ხელი მაგრად მომკიდე.

ღარბი ისევ შეაჯღა ჩიტს, ხელები მაგრად ჩასქი-
ლა და თავის სოფელში გაფრინდა. დამით, როცა უკ-
ვე ყველას ეძინა, ჩიტი უ დე-ჯის ქობთან დაფრინდა.
დღილი სოფლის ყველა ღარბმა თითო მუქა ოქრო
მიიღო.

ეს რომ მდიდარმა გაიგო, მიიზინა უ დე-ჯისთან
და დაუწყო გამოკითხვა, თუ საიდან აქვს მას ამდენი
ოქრო. ღარბის არასოდეს არ უთქვამს ტყუილი და
მდიდარსაც სიმართლე უამბო.

მიიზინა მდიდარმა სახლში და ცოლს დაუყვირა:
— მოხარე საჩქაროდ ერთი ქოთანს ფეტვი!
მდიდრის ცოლმა მოხარა ფეტვი, ზევიდან ერთი
მოუხარა მარცვალი დაადო და მდიდარი მინდორში
წავიდა.

დათესა მოუხარა მარცვალი. მიწიდან მალე ამო-
ყო თავი პატარა მწვანე ყლორტმა. სწრაფად იზრდე-
ბოდა იგი და მალე თავთავი გაიკეთა. დადგა მკის
დრო.

მდიდარმა თოკით გადააბა ერთმანეთს ორი ტომარა
და წავიდა ყანაში. შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა,
როგორც ღარბმა უამბო.

ყანაში მდიდარმა დაინახა, რომ ღერო მოტეხილია
და თავთავიდან მარცვლებს დიდი ჩიტი ეკნკავს.

მდიდარი მიეპარა ჩიტს, ფრთებში ხელი ჩაავლო
და წამოიყვირა:

— ჩაგაგდე ხელში! წამიყვანე ახლავე ოქროს კუნ-
ძულზე, თორემ ფრთებს დაგაგლეჯ!

ჩიტი მიუგო:
— როგორც გენებოს! შემაჯექი ზურგზე და ნურა-
ფრის გეშინია.

შეასკუბდა მდიდარი ჩიტს, კი-
სერში ხელები მაგრად ჩაავლო და
გაფრინდა. დიდხანს იფრინა ჩიტ-
მა, ვიდრე ოქროს კუნძულის ნა-
პირზე დაეშვებოდა.

მდიდარმა ამდენი ოქროს ქვაშა
რომ დაინახა, სიხარულისაგან ყვე-
ლაფერი დაავიწყდა. სტაცა ტომა-
რას ხელი და დაიწყო მისი ოქრო-
თი ავსება. ერთი რომ პირამდე
ავსებო, ახლა მეორეს ავსება დაიწ-
ყო.

ჩიტი ეუბნება:
— ნუ დაეხარბები, სახლამდე
შორი გზა გვაქვს, ძნელია მძიმე
ტვირთით ფრენა.

მდიდარს კი არაფრის გაგონება
არ უნდოდა. მეორე ტომარაც
ავსებო და ახლა ჯიბეების გატენ-
ვას შეუდგა.

ჩიტი კვლავ ეუბნება:
— ნუ დაეხარბები, მძიმე ტვირთით ვერ გადავლ-
ხავ ოკეანეს!

მდიდარმა ოქროს ორი დიდი ზოდი იპოვა და სიხა-
რულისაგან მთლად გონება დაკარგა. სტაცა ხელი, მაგ-
რამ საღ ჩაღოს არ იცის. ჯიბეში არ ჩაეტევა, ტომრე-
ბი უკვე სავსება, გადასადებდალ კი არ ემეტება. აილო
თოკი, ზოდებს შემოახვია და კისერზე დაიკიდა.

ჩიტი მაგამდე გააფრთხილა:
— ნუ ხარბობ! ვისაც დაუმსახურებლად ბევრი უნ-
და, ის ხშირად ცოცხაც კარგავს.

მაგრამ მდიდარი უკვე შეაჯღა ჩიტს და რომ არ
გაღმოვარდნილიყო მაგრად მოუქირა მუხლები. ჩიტის
კისერზე ჩაქიდება უკვე აღარ შეეძლო, რადგან ორივე
ხელში ოქროთი გატენილი ტომრები ეჭირა, ხოლო
კისერზე ორი ოქროს ზოდი ეკიდა.

ჩიტი ფრთები აიქნია და აფრინდა.
მდიდარი ხედავდა დაბლა ოკეანის აქაფებულ ტალ-
ღებს და შიშისაგან ჩიტს მუხლებს სულ უფრო და
უფრო უჭერდა.

— ფრენა მიჭირს. — თქვა უცებ ჩიტი. — გადააგ-
დე ერთი ტომარა!

— არაფრის გულისათვის! — დაიყვირა მდიდარმა.
— სწრაფად იფრინე ნაპირისაკენ!

ჩიტი კიდევ რამდენიმეჯერ აიქნია ფრთები და
კვლავ სიხოვა:

— გადააგდე ზღვაში ოქროს
ზოდები, ძალა მეღევა.

— გაგიჟდე, სულელო ქმნილე-
ბავ? — დაიღრიალა მდიდარმა. —
იფრინე სწრაფად, ნაპირამდე
ცოტალა დარჩა.

მაგრამ ჩიტი სულ უფრო და
უფრო დაბლა ფრენდა, ოქროს
მძიმე ტვირთი საშუალებას არ
ამძევდა მაღლა ეფრინა. და ბო-
ლოს ჩიტი ზღვაში ჩავარდა.

ამაოდ ცდილობდა მდიდარი გა-
დარჩენას. მან ხელიდან გაუშვა
ორივე ტომარა, მაგრამ ოქროს
ზოდებმა დასძლიეს და ოკეანის
ფსკერისაკენ გააქანეს.

ახე დაღუპა მდიდარი თავისმა
სიხარბემ.

ჩიტი კი ნაპირთან ამოუყრუყუ-
მალავდა, ფრთები შეიბერტყა და
მახლობელ მთას მიაშურა.

თარკმნა ბ. შილიამ
მხატვარი შ. ცხადაძე.





სამკურნალო მცენარეები



ტუხტი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ივითარებს 1—1,5 მეტრი სიმაღლის დატოტვილ, სწორმდგომ ღეროს. ღეროზე განლაგებულია კვერცხისებრი ოდნავ თათვანკვეთილი ყუნწიანი ფოთლები, დაკბილული კიდეებით. ეს მცენარე მონაცრისფერია, რადგან ხშირი და მეტად წვრილი ბუსუსითაა შემოსილი. ღეროს კენწეროზე ხშირი, თავთავისმაგვარი ყვავილენი ვითარდება, რომელსაც ქმნის საშუალო ზომის ყუნწიანი წითელი ფერის ყვავილები. განაყოფიერების შემდეგ ყვავილიდან პატარა ნაყოფი ვითარდება



ტ უ ხ ტ ი

ტუხტი იზრდება ნოტიო ადგილებში, მდინარეების მიერ დატოვებულ ლამებზე და ზოგჯერ ნაგვიან ადგილებშიც. მას ჩვენში შეხვდებით როგორც დაბლობებსა და ვაკეზე, ასევე მთაშიც. ეტანება სინათლეს, ამიტომ ხშირად ტყის პირებს ეწვევა ხოლმე. ყვავილობს ივლისსა და აგვისტოში. სვანეთში მას ფოხორეის ეძახიან და ადგილობრივი ქალები მის ნაყოფს კოსმეტიკის საქმეშიც იყენებენ. ტუხტი საქართველოს ხალხურ მედიცინაში მრავალმხრივია გამოყენებული: ხველების წინააღმდეგ, კუჭნაწლავის

ვის კატარული აშლილობის დროს, სასუნთქავი გზების კატარული ანთების შემთხვევებში, გარედან კანის დაავადების დროს და სხვა. მეცნიერულ მედიცინაში ტუხტი გამოყენებულია როგორც სუსტი ამოსახველებელი და სასუნთქავი გზების დამამშვიდებელი საშუალება, აქვს ნახველის გათხელების უნარი. უმეტესად აგროვებენ ტუხტის გამსხვილებულ ფესვებს, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს ლორწოს, სახამებელს, შაქარს, ასპარაგინს, ცხიმზეთებს, მინერალური მარილებიდან უპირატესად ფოსფატებს, აგრეთვე პექტინს, ბეტაინს, ენზიმებს,



გ ა ც ხ ვ ი

მკროლად სურნელოვან ნივთიერებებს, ნაცარს და სხვებს. ფესვების შეგროვებას იწყებენ ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე ჩვეულებრივი წესით, როგორც ეს წინა წერილებში გვქონდა აღწერილი; გამშრალი მასალა სუფთად და მშრალ ადგილას უნდა შეინახოთ, რადგან ფესვებში სახამებლის დიდი რაოდენობით არსებობის გამო, მოსალოდნელია მისი გამშრარება და დაობება.

ცაცხვი საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება. ის საშუალო ზომის ხე-მცენარეა. აქვს საკმაოდ დიდი ასიმეტრიული ფოთლები, რომლებიც ქვემოდან მკრთალი მწვანე ფერისაა, დაკბილული კიდეებიანია, და წამახვილებული ბოლოთი თავდება. ცაცხვის ე. წ. ფრენია ნაყოფების კაკლუქა 10 მილიმეტრი სიგრძისაა. ეს ხე გვხვდება ტყეში მთის ძირებიდან მთის შუა სარტყლამდე, როგორც

ცალკეული ხეების, ასევე კორომების სახით. მეცნიერულ და ქართულ ხალხურ მედიცინაში ცაცხვის ყვავილებს, იყენებენ როგორც ოფლის მომგვრელ საშუალებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხალხი მისი ყვავილების ნახარშს ხმარობს, მეცნიერული მედიცინა კი მხოლოდ მის ნაყენს. ცაცხვის მერქნის ნახშირი იხმარება კბილის ფხვნილის დასამზადებლად და აგრეთვე ნაწლავების გაბერილობის დროს, როგორც გაზების კარგი შემწოვი საშუალება. მისი ყვავილები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რის გამოც მას სასიამოვნო სუნია აქვს. ნექტარის შემცველობის გამო ცაცხვა საუკეთესო თაფლოვან მცენარედ ითვლება. ყვავილებში ბევრია ლორწო საპონინი, ცილა, უჯრედანა, მწარე და მთრიმლავი ნივთიერებანი, ყვითელი პიგმენტი, შაქარი, ცვილი და სხვა. ცაცხვის ყვავილში არსებული საპონინი ჰიდროლიზით იშლება საპოგენინად და ლეუბინად. მათ შეგროვებას ყვავილობის პერიოდში იწყებენ, ჩვეულებრივი წესით მშრალ ამინდში კრეფენ, ჩრდილში სუფთად ფენენ და დღეში ორჯერ მაინც აბრუნებენ. მშრალ მასალას სუფთა ტომარებში ათავსებენ და მყისვე მახლობელ აფთაიქს აბარებენ.

ხეჭრელი ხე მცენარეა ან იშვიათად მაღალ ბუჩქად იზრდება, მისი ყლორტები და ფოთლის ყუნწები ფიფქისებური ნადებითაა დაფარული. კვირტები ხშირბუსუსიანია. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, ელიფსური ან მოგრძო, კიდემთლიანი. შიშველი და მბრწყინავი. ყვავილები პატარაა, ყუნწიანი და ილღიაში ზის. ყვავილის გვირგვინი შიგნით თეთრია, გარედან მწვანე. ნაყოფი ბურთისებრი კენკრაა, 2—3-კურტიანია, პირველად მწვანეა, შემდეგ წითელი, მწიფე კი შავია და მბრწყინავი. ყვავის ივნისსა და ივლისში. ნაყოფს იძლევა აგვისტოდან ოქტომბრამდე. გვხვდება ტყეებში, ტყის პირებზე და ბუჩქებს შორის, როგორც დაბლობ, ისე ტყის შუა სარტყელში (იშვიათად). ხეჭრელის ქერქს მეცნიერულ მედიცინაში ხმარობენ, როგორც კუჭის ამშლელს, ის ნაკლებად აღიზიანებს ნაწლავებს და ამისათვის ქრონიკული შეკრულობის დროს იხმარება. მის ქერქში უმთავრესი გლუკოზიდო ფრანგულინია, რომელიც გამშრალ მასალაში ინახება და არ იშლება, ხოლო ახალ ქერქში მომშხამველი ცილოვანი ნივთიერება რამნუსტოქსინია, რომელიც იწვევს პირღებინებას. ამიტომ ხეჭრელის ნედლი ქერქის პირში ჩადება არ შეიძლება, რამნუსტოქსინი გამშრალ ქერქში ერთი წლის შემდეგ სავსებით ქრება. ჩვენში, ამ უკანასკნელ ხანებში, მისგან ახალი გალენური პრეპარატი — ფრანგულინი დაამზადეს. ჩვეულებრივი ხეჭრელის გარდა საქართველოში კიდევ რამდენიმე სხვა სახეობაც იზრდება, რომელთა შორის აღსანიშნავია იმერული ხეჭრელი, მის ქერქსაც იგივე გამოყენება აქვს, როგორც პირველს. მათი ქერქების შეგროვებას ადრე გაზაფხულზე იწყებენ, იმ დროს, როდესაც ღეროს წვეთა მოძრაობა დაწყებული არ არის. ჩრდილში გამშრალ ქერქებს ისეთ ჭურჭელში ინახვენ, სადაც ის არ დანესტიანდება და არ დაობდება.



ხეჭრელი

ზუკაპ შენგელია

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი



კობა გორბუნი
კოსმოდემიანსკაინაზა

1941 წლის შემოდგომაზე, მოსკოვის ახლოს, სოფელ პეტრიმჩევოში, გახსენებულმა პიტლერულეზმა საშინელი ტანჯვა-წამების შემდეგ ჩამოახრჩეს თვრამეტი წლის მამაცი კომკავშირელი გოგონა — ზოია კოსმოდემიანსკაია.

ხელბმეყრული და ფეხშიშველი, სისხლში მოსვრილი, პერანგის ამარა, ყინვასა და ქარბუქში, მუხლამდე თოვლში არბენინეს იგი მთვრალმა ჯალათებმა. სისხლის დაღებულ აჩნდებოდა თოვლს ნორჩი გოგონას ნაფეხურები. სასტიკად სცემდნენ შიშველ ბეჭებზე რეზინის ჯოხით, უშენდნენ მათარახს... მაინც ვერ ძლიეს, არაფერი თქვა. მისი პასუხი მხოლოდ ერთი იყო: — არაფერს ვიტყვი, არ ვიცი, არა!

მაშინაც არ შემდრკალა, როცა ჯალათმა კისერზე თოვი შემოახვიო. თამბაღი მივიდა სახრჩობელასთან, ქანდაკებასაეით აღიმართა და შესძახა: — „მეუღლეებო, ყველას ვერ ჩამოახრჩობენ, ჩვენი ლაშქარი უძლეველია“...

ცაბეტი წელი იტანჯებოდა ბურსას ციხეში თავისუფლებისა და მშვიდობის მგზნებარე მომღერალი, თურქი რევოლუციონერი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი. ფაშისმისა და შაჰი რეაქციის დაუძინებელი მტრის — ნაზიმ ჰიქმეთის სახელი ძვირფასი და მშობლოური

განდა მოწინავე და პათოსანი ადამიანებისათვის, ყველასათვის, ვისაც სწამს და უყვარს კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალი. სასტიკი წამებისა და ღვენის მიუხედავად მის ლექსებს ზებირად სწავლობენ და მღერაინ მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები, ჩვენი გმირი საბჭოთა ადამიანები, რომელთა ერთგული მეგობარია ნაზიმ ჰიქმეთი.

სწორედ ამიტომ ყველაზე უფრო ძსულთ იგი იმპერიალისტებს, თურქეთის მმართველებმა ბნელ საკანში გამოამწყვდიეს დიდი მებრძოლი. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ მოწყვეტია მჩქეფარე ცხოვრებას. ციხეში დაწერა მან მრავალი ლექსი და დრამატული ნაწარმოები. იქედან მღელვარებით აღდგენებდა თვალყურს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას პიტლერულ ღამპყრობთა წინააღმდეგ.

1945 წელს მას ციხეში გადასცეს ზოიას გმირულად დაღუპვის ამბავი და მისი სურათი. და აი გმირი ჰიქმეთი წერს „ზოიას“, პოემას გმირ გოგონაზე, რომელსაც „გზას უნათებდა კრემლის ვარსკვლავი, ყველა ვარსკვლავზე უბრწყინვალესი“. აქ უბრალოდ, შეუღამაზებლად, მაგრამ უდიდესი მგზნებარებით მოთხრობილია დიდი ამბავი ზოიას თავდადებისა და სიკვდილის შესახებ. ვანუყრული მეგობარი გახდა პოეტისათვის ზოიას სახე. წამების საკანს უთბობდა და უნათებდა ლამაზქორიანი გოგონას პატარა სურათი.

ვერაგმა მტერმა ვერ შეძლო ამორი მეზობლის მოსპობა: ზოიას ნათელი ხსოვნა და გმირული საქმე უკვდავია, ისე როგორც უკვდავია საბჭოთა ქვეყანა და მისი გმირი ხალხი. ნაზიმ ჰიქმეთი გიღლეს ჩვენთანა და ჩვენთან ერთად კვლავ შეუპოვრად იცავს მშვიდობისა და თავისუფლების საქმეს. ხალხმა მას მიანიჭა მაღალი ჯილდო — მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია.

პოემა „ზოია“ თარგმნეს კ. ლორთქიფანიძემ და ა. მამუშვილმა. იგი ღამაზადაა გამოცემული „საბლიტგამის“ მიერ ვ. კელიძის რედაქტორობით.

ნიკ. აგიაშვილი

მოთხრობა პიონერულ
ხსოვრებაზე

„ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამბანაფები“ ვალენტინა ოსიეევას პირველი დიდი ნაწარმოებია. ამ მოთხრობამ თავიდანვე მიიპყრო ნორჩი მკითხველის ყურადღება და იგი ბავშვების საყვარელ საკითხავ წიგნად გადაიქცა. მოთხრობა სამი წიგნისაგან შედგება, პირველ ორ წიგნში ჩვენი ცხოვრების ორი სხვადასხვა მონაკვეთია აღწერილი.

პირველ წიგნში მშვიდობიანად ცხოვრობენ მოსწავლეები. ისინი დატვირთული არიან სასკოლო და პიონერული საქმეებით. აქ ჩვენ ვხვდებით საბჭოთა სკოლის მოსწავლეთა კოლექტივის ყოველდღიურ ცხოვრებას, მის ცხოველყოფილ ძალას თვითუფლებ მოსწავლის აღზრდასა და განვითარებაზე.


პირველი წიგნი თავდება იმით, რომ ვასიოკ ტრუბაჩოვის რაზმულს, როგორც საუკეთესოს,



აჯილდოებენ უკრაინაში მოგზაურობით. თავის მასწავლებელთან ერთად, პიონერები მიემგზავებიან უკრაინაში, ისინი აღტაცებულნი, აღფრთოვანებულნი არიან. ეს 1941 წლის ივნისში ხდება.

მეორე წიგნში ძირითადად ისევ იმავე გმირებს ვხვდებით, მაგრამ

მოკლერ ყველაფერზე



პანწინა რადიომიმღები

ყოფში, რომლის სივანე 20 სანტიმეტრია და სიმაღლე 15 სანტიმეტრი, მოთავსებულია რადიომიმღები „ფირა-18“, დიფუზორითა და ანტენით. ამ რადიომიმღების გამოყენება შეიძლება არა მარტო ოთახში, არამედ ექსკურსიებისა და მოგზაურობის დროსაც. პანწინა რადიომიმღები იკვებება მშრალი ბატარეის ენერჯით. მიმღები რომ ამუშავდეს

საკმარისია ავხადოთ სახურავი და აღვმართო მასზე დაამკრებელი ანტენა.

პანწინა რადიომიმღებს ხუთი პატარა ნათურა აქვს, მუშაობს 30 საათის განმავლობაში, გრძელ და საშუალო ტალღებზე.

სურათზე ნაჩვენებია, თუ რამდენად პატარა და მოსახერხებელია ეს რადიომიმღები.

სტუმარი ჩინეთიდან

ჩინეთის პროვინციებში სიჩუანში, ხუბეიში, შანსიში, განსუში ხარობს ლამაზი და მეტად ძვირფასი ხე — ევკამია.

XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში შემოტანილი იყო ევკამიის ნერგი მცირე რაოდენობით.


ამ ხის რამდენიმე ეგზემპლარი დარგული იყო ჩვენი ქვეყნის ყველაზე თბილ რაიონებშიც ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკურ ბაღებში.

საბჭოთა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ამ მცენარის ნაყოფის გარსი, ქერქი და ფოთლები შეიცავენ მალაზხარისხოვან ნებაგუტაფისს, რომელიც გამოიყენება სახალბო მტურნეობაში საჭირო მთელი რიგი საგნების დასამზადებლად.

შავი ზღვის სანაპიროდან ეს მცენარე გავრცელდა საბჭოთა კავშირის სხვა, უფრო ცივ რაიონებში. ევკამიის ახალი პლანტაციები შექმნილია ჩრდილოეთ კავკასიაში, სავდელად დარგულია მოლდავეთში, აღმოსავლეთ საქართველოში და შუა აზიის რესპუბლიკებში.

მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტიმირიაზევის სახელობის ფიზიოლო-

გიის კვლევითი ინსტიტუტის ბიოხისტიკის ლაბორატორიაში წარმოებს ჩინეთის ხის საინტერესო გამოკვლევები. საკმარისია ამ ხის ფოთლი გადავკეცოთ და მის ზედაპირზე აეღვარდება გუტაფისის უწყრილესი ელასტიკური ძაფები. ლაბორატორიაში დაფხვნილ ფოთლებს ამუშავებენ სხვადასხვა გამსხნელებით. ანალიზები გვიჩვენებენ, რომ მავალითადა, ტავიკეთში ევკამიის ფოთლები უფრო მეტ გუტაფისს შეიცავენ, ვიდრე სუბტროპიკულ ტენიან ზონებში.



სურათზე: გუტაფისის ძაფები ევკამიის ქერქში.

სხვა პირობებში, სხვა ვარემოცვაში. პიონერებს უკრაინაში სამამულო ომი მოუსწრებდა. ბავშვებს ერთი ნაწილი ვერ მოასწრებდა ევაკუაციას და მტრის ზურგში რჩება, ისინი უფროსი ამხანაგების მეთაურობით და ხელმძღვანელობით მრავალ, მეთად ძნელ პატრიოტულ საქმეებს ჩაღიან და თავდადებით იბრძვიან მტრის წინააღმდეგ. ბავშვები დიდ და რთულ დავალებებს ასრულებენ.

მათხრობის ავტორი პირველ სიტყვებიდანვე გვიამბობს ჩვეულებრივ საბჭოთა ბავშვების, საბჭოთა პიონერების შესახებ, მათს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. ისინი კიდევაც ცელქობენ, ხზობად ცდებიან, თვითნებობენ, მაგრამ საქმე რომ საქმეზე მიდგება, კოლექტივი და სამშობლო მათგან პასუხს მოითხოვს, ისინი საბჭოთა პიონერის თვისებებს აჩვენენ: პრინციპულნი, სამშობლოსადმი თავდადებულნი, მეგობრის მოყვარულნი, შრომის-მოყვარულნი და სიცოცხლით აღსავსენი არიან. უეჭვრით და გჯერათ, რომ ისინი მართლაც გაიზრდებიან კომუნისტების ნამდვილ მშენებლებად.

ტრუბაჩოვის გარდა, წიგნში კარგად მოსჩანან კოლია მაზნინი და პეტკა რუსაკოვი. ესენი ჩვეულებრივი პიონერები არიან — მოქმედნი, მეოცნებენი და გამოგონებლები.

მწერალს კარგად ჰყავს დახატული უფროსი, მოზრდილი ადამიანები. მათ შორის განსაკუთრებით გამოიყოფა ბაბუა მიხაილო. ეს თათქოს არაფრისშემძლე, გამზდარი მოხუცი მაღალი სულია და მტყიცე ნებისყოფის საბჭოთა ადამიანი. სახრიობელაზე უშიშრად მიდის და იქ დამსწრე ატირებულ ხალხს ასე მიმართავს: „რა გატირებთ, ნუთუ გგონიათ, რომ დაიკარგა ბაბუა მიხაილო...“.

ე. ოსევეას ეს წიგნი საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო შენაძენია. ავტორი ამ წიგნის შექმნისთვის სტალინური ჰრებით დაჯილდოვდა.

ქართული პიონერები დიდი ინტერესით წაიკითხავენ ამ საყურადღებო ნაწარმოებს, რომელიც ქართულად თარგმან ე. გოგოლაშვილმა. გამოსცა საბლიტგამმა.

ნიკ. ჩაჩაძა

„სიცივის პოლუსი“


„სიცივის პოლუსად“ აქამდე ცნობილი იყო ვერხოიანსკი, სადაც სიცივე ზამთრობით — 40 გრადუსს აღწევს. საბჭოთა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ იაკუტიაში მდინარე ინდიგირკაზე მდებარე ომიაკონში ტემპერატურა — 40 გრადუსზე ქვევით ეცემა ზამთარში და ჩვეულებრივი სინდისის თერმომეტრი იყენება. აქ ისე მაგრად ცივა, რომ გაისმის „ვარსკვლავთა ჩურჩული“ — ასე უწოდებენ იაკუტიაში სუსტ ხმაურს, რომელიც წარმოიშობა ალამიანის სუნთქვით ყინვაში: თბილი ტენიანი ჰაერის ორთქლი, ამოსუნთქვისას მყისვე იყინება, უწვრილეს ყინულოვან კრისტალებად იქცევა და სუსტად შრიალებს.

ამრიგად, ომიაკონი, და არა ვერხოიანსკი არის ამჟამად ღებამიწის „სიცივის პოლუსად“ მიჩნეული. აქ ზამთარი შვიდ თვეს გრძელდება, მაგრამ მტისხმეტად მაგარი ყინვები არც ისე საგრძნობია, რადგან ომიაკონი მთებშია გარშემორტყმული, ქარი აქ არ იცის და ჰაერი მშრალია.

ომიაკონი მხოლოდ ვიწრო მთის ბლიკებითაა დაკავშირებული იაკუტსკთან. მიუხედავად ამისა, აქ ახლა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი დაბაა, სადაც არის სკოლა, სტამბა, კლუბი. ზაფხულობით, რომელიც მასის ბოლოს იწყება, მკვიდრ მცხოვრებთ მოყავთ კომპოსტო, სტაფილო, სათბურებში — კიტრი და პამიდორი.

პასუხი

ა. მ. შ. მოთავსებულ ამოცანისა ზიარი ჭურჭლების კანონის თანახმად, ორ ბიჭუნას ერთი და იგივე წყლის რაოდენობის მოტანა შეუძლიათ.



შ ი ნ ა ა რ ს ი

გ. აბაშიძე — ლენინი და გაზაფხული (ლექსი)	გარეკ. მე-2	გვ.
ვლ. მაიაკოვსკი — ლენინი (ნაწევები)	1	
გ. შატბერაშვილი — ლენინის დარბაზში	2	
ნ. კილასონია — სიმღერა უცხოელ ბიჭზე (ლექსი)	4	
ი. ურჯულელაშვილი — ქიმ ირ სენი (წერილი)	5	
მ. ლებანიძე — წარწერა გაილარის წიგნზე (ლექსი)	8	
ი. სოტნიკი — პატარა ნიანგი (მოთხრობა)	9	
ირ. აბაშიძე — შენ ძვირფასო მარგალიტო (ლექსი)	12	
ხ. ბერიულავა — მე უკვე ვხედავ (ლექსი)	12	
ვ. ბერიძე — ლეონარდო და ვინჩი (წერილი)	13	
ა. მალცი — კაცი გზაზე (მოთხრობა)	15	
ო. იოსელიანი — მაგალითის ძალა (ნარკვევი)	18	
დ. გვრიტიშვილი — ასპინძის ომი (წერილი)	20	
ვ. ბარათაშვილი — საბჭოთა მეზღვაურის ჩანაწერები ოქროს კუნძული (ჩინური ხალხური ზღაპარი)	22	
ზ. შენგელია — სამკურნალო მცენარეები (წერილი)	28	
ნ. აგიაშვილი — პოემა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე	30	
ნ. ჩაჩავა — მოთხრობა პიონერულ ცხოვრებაზე მოკლედ ყველაფერზე: ა) პაწაწინა რადიომიმღები, ბ) სტუმარი ჩინეთიდან, გ) სიცივის პოლუსი	31	
გარეკანის პირველ გვერდზე „ლენინის სახლი ულიანოვსკში“ და გარეკანის მეოთხე გვერდზე „გაზაფხული გორში“ შესრულებულია მხატვარ ვ. ჯაფარიძის მიერ.		
უკურნალი გაფორმებულია მხატვრების: უ. ჯაფარიძის, გ. ფოცნიშვილის, ა. ბანძელაძის, კ. მახარაძის, გ. დიკის, პ. გიგოლაშვილის მიერ.		

რედაქტორი რ. მარგანი. სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიანი, გ. თაყაიშვილი, მარიჯანი, გ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია. სამხატვრო რედაქტორი გ. ფოცნიშვილი.

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Апрель № 4 1952. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. ტელ. 3-81-85 საბლიტგამი

შე 03955 ტირაჟი 15.200 გამომც. შეგვ. № 244 სტამბის შეგვ. № 645 ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, ქუჩ. გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას ოფსეტ-მანქანაზე.




ოსტატობის კანდიდატის **მ. გომიზაძის** რედაქციით
ნისქვილი ცადრაკში

საქადრაკო პარტიის სილამაზე, მისი მრავალფეროვნება, გამოკვეთილად ვლინდება კომბინაციის დროს. კომბინაციის იდეის მონახვა და განხორციელება წარმოადგენს მოჭადრაკის მოქმედებით გამარჯვებას. თვით კომბინაციის ბუნებას სახელგანთქმული მოჭადრაკე მ. ბოტვინიკი განსაზღვრავს, როგორც ფორსირებულ ვარიანტს შეწირვით.

საქადრაკო პრაქტიკა მდიდარია კომბინაციური იდეებით. მაგალითისათვის მოგვყავს ჭადრაკის ისტორიაში „ჭადრაკის წისქვილად“ ცნობილი კომბინაცია, რომელიც მოხდა მოსკოვის 1925 წ. საერთაშორისო ტურნირზე ტორე—ლასკერის პარტიაში. ამ კომბინაციის იდეა ერთი და იმავე ფიგურებით, რამდენიმე ლია ქიშის გამოცხადება ერთი და იმავე უაგრაზე.

კომბინაციური თამაში მოჭადრაკისაგან ითხოვს 1) კომბინაციის იდეის ცოდნას, 2) შესაძლებელი გაგრძელების წინასწარ ზუსტ გათვლას და 3) კომბინაციის შედეგად მოსალოდნელი პოზიციის სწორ შეფასებას.


დამწყები მოჭადრაკე, რომელმაც აუცილებლად უნდა გაიაროს კომბინაციური თამაშების ქარცხელი, ყველთვის უნდა მიისწრაფოდეს კომბინაციებისაკენ, ვინაიდან კომბინაციის მხატვრული ფორმები წვრთნის გონებას, ამდიდრებს და ავარჯიშებს ფანტაზიას, აჩვენებს ანგარიშიანობას და არის ჭადრაკში დახელოვნების ნათელი საწინდარი.



1. ქ16! ლ: h5 2. ე: g7+ მფხ8 3. ე: f7+ მფფ8
4. ეფ7+ მფხ8 5. ე: b7+ მფფ8 6. ეფ7+ მფხ8 7. ე: a7+ მფფ8 8. ეფ7+ მფხ8 9. ეფ5+ მფხ7 10. ე: h5 მფფ8
11. ეხ3 და თეთრება გამარჯვებს.

* * *

კ რ მ ს პ რ ი




პირტიკალურად:

1. გამოჩენილი კომპოზიტორი, 3. წრეხაზის ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზი, 4. კრასნოდონელი გმირი კომკავშირელის სახელი, 6. ქალაქი სსრკ-ში, 7. სპორტის ერთ-ერთი სახე, 10. ა. ყაზბეგის ნაწარმოები, 11. თევზი, 12. სსრ კავშირის ერთ-ერთი მხარე, 16. საბრძოლო იარაღი, 17. დიდი რუსი პოეტი, 18. მდი-

წარე დასავლეთ საქართველოში, 19. მთის ქანი, 23. ფართობის საზომი ერთეული, 24. ძველი საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, 25. ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი, 26. სამხედლო იარაღი, 31. პირველი ბოლშევიკური გაზეთი, 32. ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი, 33. სოფლის მეურნეობის მავნე მწერი, 37. სიტყვა, რომელიც გამოხატავს მზრუნველობის გაწევას ვინმეზე, 38. ცხელი ქვეყნების ცხოველი, 42. ტვირთის გადასატანი საშუალება სოფლად, 43. ქიმიური ელემენტი, 46. ციხე-სიმაგრე პეტრე I-ის დროს.

ჰორიზონტალურად:

2. გამოჩენილი საბჭოთა ილუზიონისტი, 5. უმარტივესი ცხოველი, 8. ტრაპეციის არაპარალელურ გვერდების სახელი, 9. რკინიგზის სადგური აღმოსავლეთ საქართველოში, 13. დროშა, 14. სუბტროპიკული მცენარე, 15. რევოლუციამდელი ქართული თურნალი, 20. პლანეტა, 21. ქალაქი, სადაც დამაზადა პირველი ქართული ფოლადი, 22. უტყვიო ვაზა, 27. მარცხის განცდა, 28. სამხედრო მანქანა, 29. მდინარე საქართველოში, რომელზედაც აგებულია ჰიდროელექტრო სადგური, 30. მინერალური წყალი საქართველოში, 34. ძველი სომხეთის სატახტო ქალაქი, 35. სოფელი ყვარლის რაიონში, 36. ამერიკელი დემოკრატი მწერალი, 39. გარეული ცხოვედი, 40. საღებავი, 41. მუსიკალური ნაწარმოები, 44. სამშენებლო მასალა, 47. მდინარე ამერიკაში, 48. მყარი სხეული.



ჴანი 2 მძ6.

273 / 464.

